სახელმძღვანელო პრინციპები 04/2022 მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მიხედვით ადმინისტრაციული ჯარიმის გამოანგარიშების წესის შესახებ

ვერსია 2.1
მიღებულია 2023 წლის 24 მაისს

წინამდებარე სახელმძღვანელო რეკომენდაციის თარგმანი მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საჯარო მმართველობის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის პროექტის ფარგლებში და წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს.

ვერსიების შესახებ

ვერსია 1.0	2022 წლის 12 მაისი	სახელმძღვანელო პრინციპების მიღება საჯარო კონსულტაციისთვის
ვერსია 2.0	2023 წლის 24 მაისი	სახელმძღვანელო პრინციპების მიღება საჯარო კონსულტაციის შემდგომ
ვერსია 2.1	2023 წლის 29 ივნისი	მცირე შესწორებები

რეზიუმე

ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭომ (EDPB) წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები დაამტკიცა, რათა უზრუნველყოს საზედამხედველო ორგანოების მიერ ჯარიმების ოდენობის გამოანგარიშებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიის ჰარმონიზაცია. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები განამტკიცებს *„2016/679 რეგულაციის მიზნით ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენებისა და დადგენის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებს“ (WP253)*, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომლებშიც გამოიყენება ჯარიმა.

ჯარიმის ოდენობის გამოანგარიშება საზედამხედველო ორგანოს დისკრეციას განეკუთვნება და ექვემდებარება GDPR-ით დადგენილ წესებს. აღნიშნულ კონტექსტში, GDPR-ის თანახმად, ჯარიმის ოდენობა ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე (GDPR-ის 83(1) მუხლი). ამას გარდა, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, საზედამხედველო ორგანოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომლებიც მიუთითებს დარღვევის ხასიათზე (მის სიმძიმეზე) ან დამრღვევის დამახასიათებელ თვისებებზე (GDPR-ის 83(2) მუხლი). და ბოლოს, ჯარიმის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს GDPR-ის 83-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობებს. შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის გამოსახვა რაოდენობრივი ფორმით (კვანტიფიკაცია) უნდა დაეფუძნოს თითოეულ შემთხვევაში განხორციელებულ ინდივიდუალურ შეფასებას, GDPR-ით დადგენილი პარამეტრების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, EDPB-მ შეიმუშავა ქვემოთ წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომელიც ხუთი ნაბიჯისგან შედგება და ითვალისწინებს GDPR-ის დებულებების დარღვევის შემთხვევებში ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშებას.

პირველ რიგში, საჭიროა დამუშავების ოპერაციების იდენტიფიცირება და GDPR-ის 83(3) მუხლის გამოყენებადობის შეფასება **(თავი 3)**. მეორე ნაბიჯი ითვალისწინებს ჯარიმის შემდგომი გამოთვლისთვის *საწყისი წერტილის* (მინიმალური ოდენობა) განსაზღვრას **(თავი 4)**. აღნიშნული ხორციელდება სამართალდარღვევის კლასიფიკაციის შეფასებით, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დარღვევის სიმძიმის შეფასებით და საწარმოს ბრუნვის შეფასებით. მესამე ნაბიჯი გულისხმობს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის/უფლებამოსილი პირის წარსულ და ამჟამინდელ ქცევასთან და ჯარიმის შესაბამისად გაზრდას ან შემცირებას **(თავი 5)**. მეოთხე ნაბიჯი მოიცავს სხვადასხვა დარღვევებისთვის კანონით დადგენილ შესაბამისი მაქსიმალური ზღვრული ოდენობების იდენტიფიცირებას. მეთოდოლოგიის წინა ან მომდევნო ეტაპების ფარგლებში გაზრდილი თანხა არ უნდა აჭარბებდეს ამ მაქსიმალურ ოდენობას **(თავი 6)**. და ბოლოს, საჭიროა გაანალიზება, თუ რამდენად აკმაყოფილებს

გამოანგარიშების შედეგად მიღებული საბოლოო ჯარიმა ეფექტურობის, შემაკავებელი ძალისა და პროპორციულობის მოთხოვნებს. ამ მიზნით, დასაშვებია ჯარიმის დაკორექტირება (**თავი 7**), თუმცა, იგი არ უნდა აჭარბებდეს კანონით დადგენილ შესაბამის მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობას.

ზემოაღნიშნული ნაბიჯების ფარგლებში, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ჯარიმის გამოანგარიშება არ არის უბრალოდ მათემატიკური სავარჯიშო. არამედ, ჯარიმის საბოლოო ოდენობა დგინდება კონკრეტული საქმის გარემოებების საფუძველზე, ხოლო ჯარიმა შესაძლოა იყოს ნებისმიერი ოდენობა, რომელიც ხვდება კანონით გათვალისწინებული მინიმალური და მაქსიმალური ოდენობების დიაპაზონში.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები და შესაბამისი მეთოდოლოგია ექვემდებარება მუდმივ გადახედვას EDPB-ის მიერ.

სარჩევი

რეზიუმე 3

თავი 1 - შესავალი 7

1.1 სამართლებრივი ჩარჩო 7

1.2 მიზანი 8

1.3 მოქმედების სფერო 9

1.4 გამოყენებადობა 10

თავი 2 - ჯარიმის ოდენობის გამოანგარიშების მეთოდოლოგია 11

2.1 - ზოგადი საკითხები 11

2.2 მეთოდოლოგიის მიმოხილვა 11

2.3 დარღვევები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ფიქსირებული ოდენობები 12

თავი 3 – დარღვევების თანხვედრა და GDPR-ის 83(3) მუხლის მოქმედება 13

დიაგრამა 15

3.1 ერთი დასჯადი ქმედება 16

3.1.1 დარღვევათა თანხვედრა 19

3.1.2 ქმედების ერთობლიობა - GDPR-ის 83(3) მუხლი 21

3.2 ერთზე მეტი სანქცირებადი ქმედება 23

თავი 4 - საწყისი წერტილი ჯარიმის გამოანგარიშებისთვის 25

4.1 - დარღვევების კატეგორიზაცია GDPR-ის 83(4)-(6) მუხლის შესაბამისად 25

4.2 ჯარიმის სიმძიმე თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში 26

4.2.1 - დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა 26

4.2.2 - დარღვევის განზრახ ან უნებლიედ (გაუფრთხილებლობით) ჩადენა 30

4.2.3 იმ პერსონალური მონაცემების კატეგორიები, რომელთაც დარღვევა შეეხო 31

4.2.4 დარღვევის სიმძიმის კლასიფიცირება და სათანადო საწყისი ოდენობის იდენტიფიცირება 32

4.3 საწარმოს ბრუნვის გათვალისწინება ეფექტური, შემაკავებელი ძალის მქონე და პროპორციული ჯარიმის დაკისრებისას 36

თავი 5 - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები 41

5.1 - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი ფაქტორების იდენტიფიცირება 41

5.2 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ქმედებები, მონაცემთა სუბიექტის მიერ განცდილი ზიანის შესამცირებლად 41

5.3 - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 42

5.4 - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მანამდე ჩადენილი დარღვევები *43*
5.4.1 წინა დარღვევის ჩადენის დრო 44
5.4.2 - მანამდე ჩადენილი დარღვევების საგანი 44
5.4.3 - სხვა გასათვალისწინებელი საკითხები 45

5.5 საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი, დარღვევის გამოსწორებისა და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგების შემცირებისთვის *46*

5.6 რა ფორმით გახდა დარღვევა ცნობილი საზედამხედველო ორგანოსთვის *47*

5.7 ამავე საკითხთან დაკავშირებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ გამოყენებულ ზომებთან შესაბამისობა48

5.8 ქცევის დამტკიცებულ კოდექსებთან ან სერტიფიცირების დამტკიცებულ მექანიზმებთან შესაბამისობა *49*

5.9 სხვა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები *49*

თავი 6 - კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობა და კორპორაციული პასუხისმგებლობა 54

6.1 კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა *54*
6.1.1 ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობები 55
6.1.2 დინამიკური მაქსიმალური ოდენობები 55

6.2 საწარმოს ბრუნვისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა *57*
6.2.1 საწარმოს და კორპორაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა 57
6.2.2 საწარმოს ბრუნვის განსაზღვრა 61

თავი 7 - ეფექტურობა, პროპორციულობა და შემაკავებელი ძალა 63

7.1 ეფექტურობა *63*

7.2 პროპორციულობა *64*

7.3 შემაკავებელი ძალა *66*

თავი 8 - მოქნილობა და რეგულარული შეფასება 67

დანართი - ცხრილი GDPR-ის საფუძველზე ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების შესახებ 04/2022 სახელმძღვანელო პრინციპების საილუსტრაციო ცხრილი 69

ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭო:

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციას (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (შემდგომში, „GDPR“), კერძოდ, მის 70(1e) მუხლს;

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ (EEA) შეთანხმებას, კერძოდ, მის XI დანართსა და 37-ე პროტოკოლს, რომელიც შესწორებულია EEA ერთობლივი კომიტეტის 2018 წლის 6 ივლისის N154/2018 გადაწყვეტილებით[1];

ითვალისწინებს რა საკუთარი რეგლამენტის მე-12 და 22-ე მუხლებს;

ითვალისწინებს რა 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპებს ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენების და დადგენის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის, WP253, რომელსაც ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭომ (შემდგომში, EDPB) მხარი დაუჭირა პირველ პლენარულ სხდომაზე,

ამტკიცებს ქვემოთ წარმოდგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს.

თავი 1 - შესავალი

1.1 სამართლებრივი ჩარჩო

1. ევროკავშირმა - „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (შემდგომში, GDPR) საფუძველზე, რომელიც 2018 წლის 25 მაისიდან არის ძალაში - განახორციელა ევროპაში მონაცემთა დაცვის რეგულირების კომპლექსური რეფორმა. ფიზიკური პირების დაცვა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით ფუნდამენტური უფლებაა. რეგულაცია ეფუძნება რამდენიმე ძირითად კომპონენტს, მათ შორის, საზედამხედველო ორგანოების უფლებამოსილებების უფრო ძლიერად აღსრულება. რეგულაცია ადგენს ჯარიმების ახალ, მნიშვნელოვნად გაზრდილ დონეს და უზრუნველყოფს ჯარიმების ჰარმონიზებას წევრ სახელმწიფოებს შორის.

2. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს და უფლებამოსილ პირებს უფრო მეტი პასუხისმგებლობები ეკისრებათ ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების ეფექტურად დაცვის კუთხით. საზედამხედველო ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება, უზრუნველყონ GDPR-ის პრინციპების და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა GDPR-ის შინაარსის და სულისკვეთების შესაბამისად.

[1] წინამდებარე დოკუმენტში „წევრ სახელმწიფოებზე“ მითითება გაგებული უნდა იქნას, როგორც ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) წევრ სახელმწიფოებზე მითითება.

3. შესაბამისად, EDPB-მ შეიმუშავა ინსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფს მკაფიო და გამჭვირვალე საფუძველს საზედამხედველო ორგანოებისთვის, ჯარიმების დადგენასთან დაკავშირებით. მანამდე გამოქვეყნებული სახელმძღვანელო პრინციპები ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენების და დადგენის შესახებ ეხება გარემოებებს, სადაც ადმინისტრაციული ჯარიმა შესაფერის ინსტრუმენტს წარმოადგენს და ახდენს GDPR-ის 83-ე მუხლი ამ თვალსაზრისით ინტერპრეტაციას.[2] წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ეხება ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების მეთოდოლოგიას. აღნიშნული ორი სახელმძღვანელო მოქმედებს ერთდროულად და განამტკიცებს ერთმანეთს.

1.2 მიზანი

4. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები განკუთვნილია საზედამხედველო ორგანოებისათვის. იგი ხელს უწყობს GDPR-ის თანმიმდევრულ გამოყენებას და აღსრულებას და განმარტავს GDPR-ის 83-ე მუხლის დებულებებს.

5. სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია, შექმნას ჰარმონიზებული მინიმალური (საწყისი) ოდენობები, საერთო ორიენტაციისთვის, რომლის საფუძველზეც მოხდება ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშება ინდივიდუალურ შემთხვევებში. ამავდროულად, დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, არ არის აუცილებელი, რომ ამგვარი ინსტრუქციები იყოს იმდენად დეტალური, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს მისცეს საშუალება, მოსალოდნელი ჯარიმა მათემატიკური სიზუსტით გამოიანგარიშონ.[3] მთელს დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ჯარიმის საბოლოო ოდენობა დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე. შესაბამისად, EDPB უზრუნველყოფს არა შედეგის, არამედ, საწყისი პოზიციების და ჯარიმის გამოსაანგარიშებელი მეთოდოლოგიის ჰარმონიზებას.

6. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები უზრუნველყოფს ეტაპობრივ (ნაბიჯ-ნაბიჯ) მიდგომას, თუმცა, საზედამხედველო ორგანოები არ არიან ვალდებულები, გაითვალისწინონ ყველა ამ ნაბიჯი, თუ მოცემული შემთხვევისთვის რომელიმე ნაბიჯი არარელევანტურია, ან უზრუნველყონ დასაბუთება სახელმძღვანელო პრინციპების იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემულ შემთხვევას არ ეხება. ამავდროულად, არგუმენტაცია, როგორც მინიმუმ, უნდა მიუთითებდეს

[2] 2016/679 რეგულაციის მიზნით ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენებისა და დადგენის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები (WP253), რომელსაც მხარი დაუჭირა EDPB-მ თავის პირველ პლენარულ სხდომაზე, 2018 წლის 25 მაისს. იხ. მხარდაჭერის დოკუმენტი 1/2018, ხელმისაწვდომია აქ [ბმული უმოქმედოა].

[3] იხ.: Case C-189/02 P, C-202/02 P, C-205/02 P to C-208/02 P and C-213/02 P, Dansk Rørindustri A/S and others v. Commission, paragraph 172 and Case T-91/11, InnoLux Corp. v. Commission, paragraph 88.

ფაქტორებზე, რომელთა საფუძველზეც დადგინდა დარღვევის სიმძიმე, წლიური ბრუნვა, რომლის საფუძველზეც დაანგარიშდა ჯარიმის ოდენობა და გამოყენებული დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები.

7. სახელმძღვანელო პრინციპების მიუხედავად, საზედამხედველო ორგანოზე კვლავ ვრცელდება ეროვნული და ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული ყველა პროცედურული ვალდებულებები, მათ შორის, გადაწყვეტილებების დასაბუთების მოვალეობა და ერთი ფანჯრის მექანიზმის ფარგლებში გათვალისწინებული მოვალეობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მართალია საზედამხედველო ორგანოებს მოეთხოვებათ საკმარისად დაასაბუთონ თავიანთი მიგნებები ეროვნული და ევროკავშირის სამართლის შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მოთხოვნა, რომ საზედამხედველო ორგანოებმა ზუსტად მიუთითონ საწყისი (მინიმალური) ოდენობა ან რაოდენობრივად გამოსახონ თითოეული დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების ზემოქმედება. ამას გარდა, მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპებზე მითითება ვერ ჩაანაცვლებს არგუმენტებს, რომლებიც კონკრეტულ საქმეში უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

8. სახელმძღვანელო პრინციპები მუდმივად გადაიხედება, ევროკავშირში და ევროპის ეკონომიკური ზონაში პრაქტიკების განვითარებასთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წევრ სახელმწიფოში, გარდა დანიის და ესტონეთისა[4], საზედამხედველო ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება, გამოსცენ ადმინისტრაციული ჯარიმები, რომელთაც შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვთ, თუ არ მოხდა მათი გასაჩივრება. დროთა განმავლობაში, მოსალოდნელია როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო პრაქტიკის შემდგომი განვითარება.

1.3 მოქმედების სფერო

9. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია, საერთო დონეზე დაარეგულიროს საზედამხედველო ორგანოების მიერ ჯარიმების განსაზღვრა და შექმნას შესაბამისი საფუძველი. მასში წარმოდგენილი ინსტრუქციები ვრცელდება ყველა ტიპის დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებზე, GDPR-ის მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, გარდა ფიზიკური პირებისა, როდესაც ისინი არ წარმოადგენენ საწარმოს. აღნიშნული არ გამორიცხავს ეროვნული ორგანოების უფლებამოსილებას, დააჯარიმონ ფიზიკური პირები.

10. GDPR-ის 83(7) მუხლის თანახმად, თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს წესები წევრ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებებისა და

[4] იხ. GDPR-ის პრეამბულა, პუნქტი 151.

უწყებებისთვის ჯარიმის დაკისრებასთან და ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებით. თუ საზედამხედველო ორგანოებს ეროვნული კანონის საფუძველზე ენიჭებათ ამგვარი უფლებამოსილება, წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ვრცელდება საჯარო უწყებებზე და ორგანოებზე დასაწესებელი ჯარიმების გამოანგარიშებაზე, 4.3 თავის გარდა. ამავდროულად, საზედამხედველო ორგანოებს შეუძლიათ, აღნიშნულ თავში აღწერილი მეთოდოლოგიის მსგავსი მეთოდოლოგია გამოიყენონ. ამას გარდა, მე-6 თავი არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებსა და უწყებებზე დასაწესებელი ჯარიმის გამოანგარიშებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ დონეზე მოქმედი კანონი ითვალისწინებს განსხვავებულ მაქსიმალურ ოდენობებს, ხოლო საჯარო დაწესებულება ან უწყება არ წარმოადგენს საწარმოს, რომელიც 6.2.1 თავშია განმარტებული.

11. სახელმძღვანელო პრინციპები ეხება საერთაშორისო და ადგილობრივ შემთხვევებს.

12. სახელმძღვანელო პრინციპები არ არის ამომწურავი და იგი არ უზრუნველყოფს განმარტებებს ეროვნულ დონეზე მოქმედ ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სისტემებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ, ზოგადად ადმინისტრაციული სახდელების დაწესების კონტექსტში.

1.4 გამოყენებადობა

13. GDPR-ის 70(1)(e) მუხლის თანახმად, EDPB-ს ენიჭება უფლებამოსილება, გამოსცეს სახელმძღვანელო პრინციპები, რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკები, რათა წაახალისოს რეგულაციის თანმიმდევრულად გამოყენება. 70(1)(k) მუხლი ადგენს, რომ საბჭომ უნდა უზრუნველყოს რეგულაციის თანმიმდევრული გამოყენება და საკუთარი ინიციატივით, საჭიროების შესაბამისად და ევროკომისიის მოთხოვნის საფუძველზე შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები საზედამხედველო ორგანოებისთვის, 58-ე მუხლით გათვალისწინებული ზომების გამოყენებასთან და 83-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმების დადგენასთან დაკავშირებით.

14. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას თანმიმდევრული მიდგომა ადმინისტრაციული ჯარიმების დაწესებაში, რომელიც სათანადოდ ასახავს რეგულაციის ყველა პრინციპს, საბჭო შეთანხმდა რეგულაციის 83-ე მუხლში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების საერთო გაგებაზე/ინტერპრეტაციაზე. ინდივიდუალური საზედამხედველო ორგანოები ამ საერთო მიდგომას ასახავენ ადგილობრივი ადმინისტრაციული და სასამართლო კანონების შესაბამისად, რომლებიც მათზე ვრცელდება.

თავი 2 - ჯარიმის ოდენობის გამოანგარიშების მეთოდოლოგია

2.1 - ზოგადი საკითხები

15. თანამშრომლობის და თანმიმდევრულობის მოვალეობების მიუხედავად, ჯარიმის ოდენობის გამოანგარიშება განეკუთვნება საზედამხედველო ორგანოს დისკრეციის სფეროს. GDPR მოითხოვს, რომ ჯარიმის ოდენობა თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე (83(1) მუხლი). ამას გარდა, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, საზედამხედველო ორგანოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომლებიც მიუთითებს დარღვევის ხასიათზე (მის სიმძიმეზე) ან დამრღვევის დამახასიათებელ თვისებებზე (GDPR-ის 83(2) მუხლი). და ბოლოს, ჯარიმის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს GDPR-ის 83-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ ზედა ზღვარს. შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის გამოსახვა რაოდენობრივი ფორმით (კვანტიფიკაცია) უნდა დაეფუძნოს თითოეულ შემთხვევაში განხორციელებულ ინდივიდუალურ შეფასებას, GDPR-ით დადგენილი პარამეტრების ფარგლებში.

16. ქცევისთვის, რომელიც არღვევს მონაცემთა დაცვის წესებს, GDPR არ ითვალისწინებს მინიმალურ ჯარიმას. არამედ, იგი მხოლოდ მაქსიმალურ ოდენობებს ადგენს, კერძოდ, 83-ე მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებში, სადაც რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ქმედება არის ერთად დაჯგუფებული. საბოლოო ჯამში, ჯარიმის გამოანგარიშება შესაძლებელია მხოლოდ GDPR-ის 83-ე მუხლის 2(a)-(j) ქვეპუნქტებში მკაფიოდ იდენტიფიცირებული ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც მოცემული შემთხვევისთვის რელევანტურია და სხვა რელევანტური ელემენტების მხედველობაში მიღებით, მაშინაც კი, თუ ისინი მკაფიოდ არ არის ჩამოთვლილი აღნიშნულ დებულებებში (ვინაიდან 83(2)(k) მუხლის თანახმად, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა შესაბამისი ფაქტორი). და ბოლოს, ჯარიმის საბოლოო ოდენობა, რომელიც ამ შეფასების შედეგია, უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში (რეგულაციის 83(1) მუხლი). დაწესებული ჯარიმა საკმარისად უნდა ითვალისწინებდეს ყველა აღნიშნულ პარამეტრს და ამავდროულად, არ უნდა აჭარბებდეს რეგულაციის 83-ე მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

2.2 მეთოდოლოგიის მიმოხილვა

17. ამ პარამეტრების გათვალისწინებით, EDPB-მ შეიმუშავა ქვემოთ წარმოდგენილი მეთოდოლოგია GDPR-ის დარღვევის შემთხვევებში ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშებისთვის.

ნაბიჯი 1 მოცემულ შემთხვევაში, დამუშავების ოპერაციების იდენტიფიცირება და GDPR-ის 83(3) მუხლის გამოყენებადობის შეფასება. **(თავი 3)**

ნაბიჯი 2 ქვემოთ წარმოდგენილი ელემენტების შეფასების საფუძველზე, მინიმალური ოდენობის („სასტარტო პოზიციის“) განსაზღვრა, რომელსაც ეფუძნება შემდგომი გამოთვლები: **(თავი 4)**

a. განსაზღვრა, თუ GDPR-ის 83-ე მუხლის (4)-(6) პუნქტებით გათვალისწინებულ რომელ კატეგორიაში ხვდება მოცემული შემთხვევა

b. დარღვევის სიმძიმის განსაზღვრა GDPR-ის 83-ე მუხლის 2(a), (b) და (g) ქვეპუნქტების თანახმად;

c. საწარმოს ბრუნვა, როგორც ერთ-ერთი რელევანტური ელემენტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ეფექტური, შემაკავებელი ძალის მქონე და პროპორციული ჯარიმის დასაკისრებლად, GDPR-ის 83(1) მუხლის შესაბამისად.

ნაბიჯი 3 დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება, რომლებიც დაკავშირებულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირის წარსულ და ამჟამინდელ ქცევასთან და ჯარიმის შესაბამისად გაზრდა ან შემცირება. **(თავი 5)**

ნაბიჯი 4 კანონით დადგენილი რელევანტური მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა დამუშავების სხვადასხვა ოპერაციისთვის. წინა ან მომდევნო ნაბიჯების საფუძველზე გაზრდილმა თანხამ ამ ოდენობას არ უნდა გადააჭარბოს. **(თავი 6)**

ნაბიჯი 5 გაანალიზება იმისა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ჯარიმის საბოლოო, გამოანგარიშებული ოდენობა ეფექტურობის, შემაკავებელი ძალისა და პროპორციულობის მოთხოვნებს, GDPR-ის 83(1) მუხლის თანახმად, და ჯარიმის შესაბამისად გაზრდა ან შემცირება. **(თავი 7)**

2.3 დარღვევები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ფიქსირებული ოდენობები

18. გარკვეულ გარემოებებში, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა ჩათვალოს, რომ გარკვეული დარღვევები ექვემდებარება ჯარიმის წინასწარ განსაზღვრულ, ფიქსირებულ ოდენობას. ფიქსირებული ოდენობის გამოყენება გარკვეული ტიპის დარღვევების მიმართ არ გამორიცხავს GDPR-ის, კერძოდ კი მისი 83-ე მუხლის

მოქმედებას. ამასთან, ფიქსირებული ოდენობების გამოყენება საზედამხედველო ორგანოებს არ ათავისუფლებს თანამშრომლობის და თანმიმდევრულობის მოვალეობებისგან (GDPR-ის VII თავი).

19. საზედამხედველო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში შედის დაადგინოს, თუ რა ტიპის დარღვევების დასჯაა შესაძლებელი წინასწარ განსაზღვრული, ფიქსირებული ჯარიმებით, მათი ხასიათის, სიმძიმის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით. საზედამხედველო ორგანო აღნიშნულს ვერ განახორციელებს, თუ ეს აკრძალულია ან სხვაგვარად წინააღმდეგობაში მოდის წევრი სახელმწიფოს ეროვნულ კანონთან.

20. ფიქსირებული ოდენობების განსაზღვრა შესაძლებელია საზედამხედველო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ქვეშ, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა, მათ შორის, კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში არსებული სოციალური და ეკონომიკური გარემოებები. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნას დარღვევის სიმძიმის კონტექსტში, რასაც განსაზღვრავს GDPR-ის 83(2) მუხლის (a), (b) და (g) ქვეპუნქტები. მიზანშეწონილია, რომ საზედამხედველო ორგანომ წინასწარ უზრუნველყოს ფიქსირებული ოდენობების და იმ გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელშიც გამოიყენება აღნიშნული ოდენობები.

თავი 3 – დარღვევების თანხვედრა და GDPR-ის 83(3) მუხლის მოქმედება

21. მანამ, სანამ მოხდება წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ჯარიმის გამოანგარიშება, მნიშვნელოვანია პირველ რიგში გათვალისწინებული იქნას, თუ რა ქმედებას (ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები) და დარღვევებს (დასჯადი ქმედების აბსტრაქტული სამართლებრივი აღწერა) ეფუძნება ჯარიმა. კერძოდ, ერთი შემთხვევა შესაძლოა მოიცავდეს გარემოებებს, რომლებიც შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც ერთი ან რამდენიმე დასჯადი ქმედება. ამასთან, ერთი და იგივე ქმედება, შესაძლოა განაპირობებდეს რამდენიმე განსხვავებულ დარღვევას. ასეთ შემთხვევებში, ქმედების ერთ დარღვევად დაკვალიფიცირება, შესაძლოა, გამორიცხავდეს ქმედების მეორე დარღვევად დაკვალიფიცირებას ან ქმედება შესაძლებელია ორ სხვადასხვა დარღვევად დაკვალიფიცირდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლოა არსებობდეს ერთდროულად რამდენიმე დებულების დარღვევის შემთხვევები. მოქმედი წესების მიხედვით, ამგვარი შემთხვევები შესაძლოა იწვევდეს ჯარიმების განსხვავებულად გამოთვლას.

22. CJEU-ს პრეცედენტული სამართლის მიხედვით[5], წევრ სახელმწიფოებში ერთდროულ დარღვევებთან დაკავშირებით ტრადიციულად მოქმედი წესების ანალიზის საფუძველზე და განსხვავებული გამოყენების სფეროებისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, ეს პრინციპები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ სამ კატეგორიად:

- დარღვევათა თანხვედრა (თავი 3.1.1)
- ქმედების ერთობლიობა (თავი 3.1.2)
- ქმედებათა სიმრავლე (თავი 3.2)

23. დარღვევათა თანხვედრის აღნიშნული განსხვავებული კატეგორიები არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, თუმცა, მათ გამოყენების განსხვავებული სფეროები აქვთ. ამავდროულად, ისინი ხელს უწყობს ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას და შეფასების ლოგიკურ ჩარჩოს ქმნის.

24. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში დადგინდეს:

a. დარღვევათა თანხვედრა შედგება ერთი (თავი 3.1) თუ რამდენიმე (თავი 3.2) დასჯადი ქმედებისგან,

b. ერთი ქმედების შემთხვევაში (თავი 3.1), ეს ქმედება ხომ არ განაპირობებს ერთ ან რამდენიმე დარღვევას, და

c. თუ ქმედება განაპირობებს რამდენიმე დარღვევას, ქმედების ერთ დარღვევად დაკვალიფიცირება ხომ არ გამორიცხავს ქმედების მეორე დარღვევად დაკვალიფიცირებას (3.1.1) ან შესაძლებელია თუ არა ქმედების ერთდროულად ორ სხვადასხვა დარღვევად დაკვალიფიცირება (თავი 3.1.2).

[5] კერძოდ, სიღრმისეული ანალიზი იხ. ევგენი ტანჩევის მოსაზრებაში, *C-10/18 P, Marine Harvest* საქმესთან დაკავშირებით.

დიაგრამა

საქმე შედგება:	
ერთი დასჯადი ქმედებისგან (თავი 3.1)	რამდენიმე დასჯადი ქმედებისგან (თავი 3.2)
	ქმედებათა სიმრავლე ექვემდებარება ერთ ან რამდენიმე გადაწყვეტილებაში, თითოეულ ქმედებასთან მიმართებით ინდივიდუალურად დაანგარიშებულ ჯარიმებს. კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობების გათვალისწინება ხდება თითოეულ ინდივიდუალურ დარღვევასთან მიმართებით.
იწვევს ერთ დარღვევას	იწვევს ერთზე მეტ დარღვევას
არ დგინდება თანხვედრა ერთი დარღვევისთვის ხდება ერთი ჯარიმის დაწესება. კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინება ხდება ამ ერთ დარღვევასთან მიმართებით.	
ერთი დარღვევის დადგენა გამორიცხავს მეორე დარღვევას (თავი 3.1.1)	დარღვევების დადგენა შესაძლებელია ერთდროულად (თავი 3.1.2)
კანონთა თანხვედრა ქმედება განაპირობებს მხოლოდ ერთ დარღვევას და ჯარიმის გამოანგარიშება ხდება ამ ერთი დარღვევის მიხედვით. კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინება ხდება ამ ერთ დარღვევასთან მიმართებით.	**ქმედებათა ერთობლიობა/ დამუშავების ერთიანობა** ჯარიმის გამოანგარიშება ხდება ყველა შესაბამის დარღვევასთან მიმართებით, თუმცა, ხდება მხოლოდ ყველაზე მძიმე დარღვევისთვის დადგენილი მაქსიმალური ოდენობის

	გათვალისწინება (GDPR-ის 83(3) მუხლი).

3.1 ერთი დასჯადი ქმედება

25. პირველი ნაბიჯის სახით, მნიშვნელოვანია დადგენა, არსებობს ერთი („idem“) თუ რამდენიმე დასჯადი ქმედება, რათა მოხდეს შესაბამისი დასჯადი ქცევის იდენტიფიცირება. ამრიგად, მნიშვნელოვანია გააზრება იმისა, თუ რომელი გარემოებები წარმოადგენს ერთსა და იმავე ქმედებას და რომელი - რამდენიმეს. შესაბამისი დასჯადი ქცევის შეფასება და იდენტიფიცირება უნდა მოხდეს თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში, „ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული დამუშავების ოპერაციები“ შესაძლოა ერთ ქმედებას წარმოადგენდეს.

26. ტერმინი „დამუშავების ოპერაცია“ წარმოდგენილია GDPR-ის 4(2) მუხლში, რომლის თანახმადაც „დამუშავება“ ნიშნავს „ნებისმიერ ოპერაციას ან ოპერაციათა ერთობლიობას პერსონალურ მონაცემთან ან მონაცემთა ერთობლიობასთან მიმართებაში, ავტომატური თუ სხვა საშუალებებით, როგორიცაა მაგალითად შეგროვება, აღრიცხვა/ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, ამოღება, გაცნობა, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემის, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის გზით, დაჯგუფება ან კომბინირება, შეზღუდვა, წაშლა ან განადგურება.“

27. როდესაც ფასდება „დამუშავების ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ოპერაციები“, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ყველა ის ვალდებულება, რომელთა დაცვაც სამართლებრივი თვალსაზრისით აუცილებელია იმისათვის, რომ დამუშავების ოპერაციები კანონიერად განხორციელდეს, შესაძლებელია, რომ გათვალისწინებული იქნას საზედამხედველო ორგანოს მიერ, დარღვევების შეფასებაში, მათ შორის, მაგალითად, გამჭვირვალობის ვალდებულებები (მაგ., GDPR-ის მე-13 მუხლი). აღნიშნულს, აგრეთვე, ხაზს უსვამს ფრაზა: „დამუშავების ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ოპერაციები“, რომელიც მიუთითებს, რომ ამ დებულების მოქმედების სფერო მოიცავს დარღვევას, რომელიც ეხება და გავლენას ახდენს დამუშავების ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

28. ტერმინი „დაკავშირებული“ მიუთითებს პრინციპზე, რომ ერთი ქმედება შესაძლოა შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისგან, რომელთა განხორციელებაც ხდება ერთიანი ნების საფუძველზე და კონტექსტის (მონაცემთა სუბიექტი, მიზანი და ხასიათი), სივრცის და დროის თვალსაზრისით ისინი იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები, რომ ობიექტურად ისინი შესაძლოა მიჩნეული იქნას ერთ თანმიმდევრულ ქმედებად. კავშირის არსებობა სათანადოდ უნდა იქნას

დასაბუთებული, რათა საზედამხედველო ორგანოს მხრიდან არ დაირღვეს სანქციის შემაკავებელი ძალისა და ევროპული სამართლის ეფექტური აღსრულების პრინციპები. ამრიგად, აღნიშნული ასპექტები, რომელთა საფუძველზეც დგინდება საკმარისი კავშირის არსებობა, უნდა შეფასდეს თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

მაგალითი 1a - ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ოპერაციები

ფინანსური დაწესებულება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს სთხოვს საკრედიტო ისტორიის შემოწმებას. ფინანსური დაწესებულება იღებს მოთხოვნილ ინფორმაციას და ინახავს საკუთარ სისტემაში.

საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემების შეგროვება და შენახვა ფინანსური დაწესებულების მიერ, როგორც ასეთი, დამუშავების ოპერაციებს წარმოადგენს, თუმცა, ისინი ერთობლივად ქმნიან დამუშავების ოპერაციებს რომლებიც ხორციელდება ერთიანი ნების საფუძველზე და კონტექსტის, სივრცისა და დროის თვალსაზრისით იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ობიექტურად, ისინი ერთიან ქმედებად შეიძლება იქნას მიჩნეული. ამრიგად, დამუშავების ოპერაციები, რომელთაც ფინანსური დაწესებულება ახორციელებს, ითვლება, რომ „დაკავშირებულია“ და ერთი და იგივე ქმედების შემადგენელი ნაწილია.

მაგალითი 1b - ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ოპერაციები

მონაცემთა ბროკერმა გადაწყვიტა, განახორციელოს დამუშავების ახალი აქტივობა, რომელიც მოიცავს შემდეგს: მან გადაწყვიტა, რომ მესამე მხარის სახით, შეაგროვოს მომხმარებელთა ტრანზაქციების ისტორია სხვადასხვა მოვაჭრისგან, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რათა განახორციელოს ფსიქომეტრიული ანალიზი და მოახდინოს ფიზიკურ პირთა ქცევის პროგნოზირება, მათ შორის, არჩევნებში ხმის მიცემის, სამსახურისათვის თავის დანებებისათვის მზაობის და ა.შ. კუთხით. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, მონაცემთა ბროკერს აღნიშნული პროცედურა არ შეაქვს დამუშავებასთან დაკავშირებული აქტივობების ჩანაწერებში, მონაცემთა სუბიექტებს არ აწვდის ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტებს და უგულებელყოფს მათ მოთხოვნებს ახალ ოპერაციებზე წვდომასთან დაკავშირებით. დამუშავების ოპერაციები, რომელსაც აღნიშნული აქტივობა მოიცავს, ხორციელდება ერთიანი ნების საფუძველზე და კონტექსტის, სივრცისა და დროის თვალსაზრისით ერთმანეთთან დაკავშირებულია. ისინი ერთი და იგივე ქმედების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა. ეს ქმედება, აგრეთვე, მოიცავს, დამუშავების აქტივობის დაურეგისტრირებლობას შესაბამის

ჩანაწერებში, მონაცემთა სუბიექტებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობას და იმგვარი პროცედურების არშექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დამუშავების ახალ ოპერაციებზე წვდომის უფლების განხორციელებას. აღნიშნული ვალდებულებები დაირღვა ერთმანეთთან დაკავშირებული დამუშავების ოპერაციების შემთხვევაში.

მაგალითი 1c - დამუშავების ოპერაციები, რომლებიც არ წარმოადგენს ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ოპერაციებს

(i) მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს იმ პირების შესახებ მონაცემების მოძიებას, რომლებმაც წარადგინეს განცხადება ერთ-ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. მონაცემების მოძიების პროცესი, აგრეთვე, გულისხმობს განმცხადებელთა პოლიტიკური კუთვნილების, პროფკავშირის წევრობის და სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. (ii) ხუთი დღის შემდგომ, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანომ პარტნიორ ინდივიდუალურ მეწარმეებს მოსთხოვა, გაემჟღავნებინათ ინფორმაცია სხვა დაწესებულებებთან არსებული თანამშრომლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა აღნიშნული რელევანტური ზედამხედველობის ორგანოსთან გაფორმებული ხელშეკრულებისთვის. (iii) ერთი კვირის შემდეგ, ამავე ორგანოში დაფიქსირდა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის ინციდენტი. განხორციელდა ჰაკერული თავდასხმა მის ქსელზე, ადეკვატური ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების არსებობის მიუხედავად, ხოლო ჰაკერმა მოიპოვა წვდომა სისტემაზე, რომელიც ამუშავებს იმ მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემებს, რომელთაც განცხადებები წარადგინეს მშენებლობის ზედამხედველობის ორგანოში. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები სათანადოდ იყო დაშიფრული, შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, ჰაკერმა მაინც შეძლო შიფრის „გატეხვა“, სამხედრო დაშიფვრის ტექნოლოგიის გამოყენებით და მონაცემები dark net-ზე გაყიდა. აღნიშნულმა ორგანომ მომხდარის შესახებ საზედამხედველო ორგანოს არ შეატყობინა, იმის მიუხედავად, რომ მას ამის ვალდებულება ჰქონდა. მოცემულ შემთხვევაში, დამუშავების ოპერაციები - ე.ი., განმცხადებლების შესახებ მონაცემების მოძიება, მეწარმეებისთვის გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეუტყობინებლობა არ არის ერთმანეთთან კონტექსტურად დაკავშირებული და განსხვავებულ ქმედებებად უნდა იქნას მიჩნეული.

29. თუ დადგენილია, რომ არსებული გარემოებები ერთი და იგივე ქმედების ფორმირებას ახდენს და წარმოშობს ერთ დარღვევას, ჯარიმის გამოანგარიშება შესაძლებელია ამ დარღვევისთვის და მასთან მიმართებით კანონით

გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობის შესაბამისად. ამავდროულად, თუ გარემოებები ახდენს ერთი და იგივე ქმედების ფორმირებას, თუმცა, ეს ქმედება წარმოშობს არა ერთ, არამედ რამდენიმე დარღვევას, მაშინ უნდა დადგინდეს, ქმედების ერთ დარღვევად დაკვალიფიცირება ხომ არ გამორიცხავს ამავე ქმედების მეორე დარღვევად დაკვალიფიცირებას (თავი 3.1.1) ან შესაძლებელია თუ არა ქმედების ორ სხვადასხვა დარღვევად დაკვალიფიცირება (თავი 3.1.2). თუ არსებული გარემოებები ახდენს რამდენიმე ქმედების ფორმირებას, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ქმედებათა სიმრავლესთან და მასზე რეაგირება 3.2 თავის მიხედვით უნდა განხორციელდეს.

3.1.1 დარღვევათა თანხვედრა

30. დარღვევათა თანხვედრის პრინციპი (რომელსაც, აგრეთვე, უწოდებენ „მოჩვენებით თანხვედრას“[6] ან „ცრუ თანხვედრას“) მოქმედებს, როდესაც ერთი დებულების გამოყენება გამორიცხავს ან იწვევს მეორე დებულების გამოყენებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანხვედრას ადგილი აქვს საკანონმდებლო დებულებების თეორიულ დონეზე. ეს შესაძლოა დაეფუძნოს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, სპეციფიკურობის,[7] სუბსიდიარობის და მიზეზშედეგობრიობის პრინციპები, რომლებიც ხშირად მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც დებულებები ერთი და იგივე სამართლებრივ ინტერესს იცავს. ასეთ დროს, უკანონო იქნება ერთი და იგივე ქმედებისთვის სამართალდამრღვევის ორჯერ სანქცირება.[8]

31. დარღვევათა თანხვედრის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა გამოანგარიშებული უნდა იქნას მხოლოდ იმ დარღვევის საფუძველზე, რომელიც ზემოთ წარმოდგენილი წესების მიხედვით იქნა შერჩეული (უფრო მძიმე დარღვევა).[9]

სპეციფიკურობის პრინციპი[10]

32. სპეციფიკურობის პრინციპი (specialia generalibus derogan) არის სამართლებრივი პრინციპი, რომლის მიხედვითაც უფრო სპეციფიური დებულება (რომელიც მომდინარეობს იგივე სამართლებრივი აქტიდან ან იგივე ძალის მქონე განსხვავებული სამართლებრივი აქტებიდან) აღემატება უფრო ზოგად დებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს ერთი და იგივე მიზანი აქვს. შესაბამისად, ნაკლებად სპეციფიკური დარღვევის „მაკვალიფიცირებელ ფაქტორს“ წარმოადგენს

[6] იხ., მაგალითად, AustrianVerwaltungsgerichtshof, Ra2018/02/0123, პ. 9.
[7] იხ. შეფასება საქმეში C-10/18P, Marine Harvest v. Commission.
[8] იხ., მაგალითად, AustrianVerwaltungsgerichtshof, Ra2018/02/0123, პ. 7.
[9] იხ. შეფასება საქმეში C-10/18P, Marine Harvest v. Commission.
[10] იხ. შეფასება საქმეში C-10/18P, Marine Harvest v. Commission.

უფრო მეტად სპეციფიკური დარღვევა. მაკვალიფიცირებელი დარღვევა, როგორც წესი, უფრო მაღალ სანქციებს ექვემდებარება და მისთვის გათვალისწინებულია ჯარიმის უფრო მაღალი მაქსიმალური ოდენობა ან შეზღუდვის უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

33. ამავდროულად, ინტერპრეტაციის საფუძველზე, სპეციფიკურობის პრინციპი შესაძლოა მოქმედებდეს მაშინაც, როდესაც კანონის ხასიათიდან ან ტაქსონომიიდან გამომდინარე, ერთი დარღვევა მეორე, უფრო მეტად სპეციფიკური დარღვევის „მაკვალიფიცირებელ ფაქტორს“ წარმოადგენს, თუმცა, მხოლოდ მისი დასახელება ცალსახად არ მიუთითებს დამატებით ელემენტზე.

34. როდესაც ორი დებულება განსხვავებულ ავტონომიურ მიზნებს ემსახურება, აღნიშნული წარმოადგენს განმასხვავებელ ფაქტორს, რა შემთხვევაშიც სხვადასხვა ჯარიმის დაწესება გამართლებულია. მაგალითად, თუ ერთი დებულების დარღვევა ავტომატურად იწვევს მეორის დარღვევას, მაგრამ არა პირიქით, ასეთი დებულებები ავტონომიურ მიზნებს ემსახურება.

35. სპეციფიკურობის პრინციპები შესაძლოა, მოქმედებდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმდენად, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, მიზნები, რომლებსაც ემსახურება შესაბამისი დებულებები, ერთმანეთთან თანხვედრაშია. იმის გათვალისწინებით, რომ GDPR-ის მე-5 მუხლში დადგენილი მონაცემთა დაცვის პრინციპები ზოგადი ცნებებია, შესაძლებელია, რომ ზოგ სიტუაციაში სხვა დებულებები რომელიმე პრინციპის კონკრეტიზაციას უზრუნველყოფდეს, თუმცა, მთლიანად არ მოიცავდეს ამ პრინციპს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დებულება ყოველთვის სრულად არ განსაზღვრავს პრინციპის მოქმედების სფეროს.[11] შესაბამისად, გარემოებებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში დებულებები შესაძლოა, თანხვედრაში იყოს და ერთი დარღვევა შესაძლოა მეორეს გამორიცხავდეს,[12] ხოლო ზოგ შემთხვევაში კი დებულებები შესაძლოა მხოლოდ ნაწილობრივ იყოს ერთმანეთთან თანხვედრაში და ერთმანეთს სრულად არ გამორიცხავდნენ. როდესაც დებულებები ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, სახეზე არ გვაქვს დარღვევათა თანხვედრა. შესაბამისად, ჯარიმის გამოანგარიშება შესაძლებელია ცალ-ცალკე, თითოეულ დარღვევასთან მიმართებით.

[11] EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021 დავაზე, რომელიც ეხება ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების პროექტს WhatsApp Ireland-ის შესახებ, GDPR-ის 65(1)(a) მუხლის შესაბამისად (შემდგომში, EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021“), პ.192.

[12] EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პ.193.

სუბსიდიარობის პრინციპი

36. დარღვევათა თანხვედრის კიდევ ერთი ფორმაა სუბსიდიარობის პრინციპი. იგი მოქმედებს მაშინ, როდესაც ერთი დარღვევა მეორის სუბსიდიარულ (დამატებით) დარღვევად მიიჩნევა, რაც განპირობებულია იმით, რომ კანონი ფორმალურად ადგენს სუბსიდიარობას ან სუბსიდიარობის დადგენა ხდება მატერიალური მიზნებიდან გამომდინარე.[13] ამ უკანასკნელს ადგილი აქვს, როდესაც დებულებები ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, თუმცა, ერთი მოიცავს ნაკლებად ბრალეულ ქმედებას (მაგ., ადმინისტრაციული სამართალდარღვევას შესაძლოა წარმოადგენდეს სისხლის სამართლის დანაშაულის სუბსიდიარულ დარღვევას და ა.შ.).

მიზეზშედეგობრიობის პრინციპი

37. მიზეზშედეგობრიობის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი დებულების დარღვევა რეგულარულად იწვევს მეორე დებულების დარღვევას, ხშირად, იმის გამო, რომ ერთი დარღვევა მეორის წინაპირობას წარმოადგენს.

3.1.2 ქმედების ერთობლიობა - GDPR-ის 83(3) მუხლი

38. მსგავსად დარღვევათა თანხვედრის პრინციპისა, ქმედების ერთობლიობის პრინციპი („იდეალური თანხვედრა“) მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთ ქმედებას მოიცავს რამდენიმე საკანონმდებლო დებულება, ხოლო განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ერთი დებულების გამოყენებას არ გამორიცხავს და არც განაპირობებს მეორე დებულების გამოყენება, ვინაიდან ისინი არ ხვდებიან სპეციფიკურობის, სუბსიდიარობის ან მიზეზშედეგობრიობის პრინციპების მოქმედების ფარგლებში და უმეტესწილად, განსხვავებულ მიზნებს ემსახურება.

---

[13] ფორმალური სუბსიდიარობის იდეას ირიბად მოიცავს ევროპარლამენტის და საბჭოს 2022 წლის 14 დეკემბრის დირექტივა (EU) 2022/2555 ევროკავშირში მაღალი კიბერუსაფრთხოების საერთო დონისათვის საჭირო ზომების შესახებ, მუხლი 35(2). ამ დირექტივით შესწორდა (EU)No910/2014 რეგულაცია და (EU)2018/1972 დირექტივა და გაუქმდა (EU)2016/1148 დირექტივა (NIS 2 დირექტივა). თუმცა, კონფლიქტი გადაჭრილია პროცედურულ და არა მატერიალურ დონეზე. აღნიშნული მუხლის თანახმად, „როდესაც (EU) 2016/679 რეგულაციაში მითითებული საზედამხედველო ორგანო აწესებს ადმინისტრაციულ ჯარიმას GDPR-ის 58(2)(i) მუხლის შესაბამისად, შესაბამისმა ორგანოებმა არ უნდა დააწესონ ადმინისტრაციული ჯარიმა NIS 2 დირექტივის 34-ე მუხლის შესაბამისად, დარღვევისთვის, რომელზეც მიუთითებს NIS 2 დირექტივის 35(1) მუხლი, თუ მას წარმოშობს იგივე ქმედება, რომელიც დაექვემდებარა ადმინისტრაციულ ჯარიმას GDPR-ის 58(2)(i) მუხლის შესაბამისად.“ ეს იმ შემთხვევაში, თუ NIS 2 დირექტივის 35(1) მუხლში მითითებული დარღვევა ირიბად ითვლება სუბსიდიარულ დარღვევად, GDPR-ის შესაბამის მუხლთან მიმართებით და შემთხვევა ეხება ერთსა და იმავე ქმედებას/ქცევას.

39. ქმედების ერთობლიობის პრინციპი განხილულია მეორადი სამართლის დონეზე, GDPR-ის 83(3) მუხლში, „დამუშავების ერთიანობის“ ფორმით. ხაზგასასმელია, რომ GDPR-ის 83(3) მუხლს აქვს გამოყენების შეზღუდული ფარგლები და იგი არ გავრცელდება ყველა იმ შემთხვევაზე, სადაც დადგინდა ერთზე მეტი დარღვევის არსებობა, არამედ, მხოლოდ იმ შემთხვევებზე, სადაც ერთზე მეტ დარღვევას წარმოშობს „ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული დამუშავების ოპერაციები“, რაც განმარტებულია ზემოთ.[14] ასეთ შემთხვევებში, ადმინისტრაციული ჯარიმის ჯამური ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებულ ოდენობას.[15]

40. ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ერთი ქმედება რამდენიმეჯერ არღვევს ერთსა და იმავე საკანონმდებლო დებულებას, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ ქმედების ერთობლიობას აქვს ადგილი. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც გარემოებები განაპირობებს ერთი და იგივე საკანონმდებლო დებულების განმეორებით და ერთსა და იმავე კატეგორიას მიკუთვნებულ დარღვევას, მჭიდრო სივრცითი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

მაგალითი 2 - ქმედების ერთობლიობა *დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტების ჯგუფებს უგზავნის მარკეტინგულ მეილებს, დღეში რამდენიმეჯერ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რის შედეგადაც იგი რამდენიმეჯერ ჩადენილი ერთი და იგივე მოქმედებით (ქმედების ერთობლიობა) არღვევს GDPR-ის 6(1) მუხლს.*

41. GDPR-ის 83(3) მუხლის ფორმულირება, ერთი შეხედვით, პირდაპირ არ მოიცავს ქმედების ერთობლიობის ამ უკანასკნელ შემთხვევას, ვინაიდან ადგილი არ აქვს „რამდენიმე დებულების“ დარღვევას. თუმცა, უთანასწორო და უსამართლო მოპყრობას ექნება ადგილი, თუ დამრღვევი, რომელმაც ერთი მოქმედებით განსხვავებული მიზნების მქონე რამდენიმე დებულება დაარღვია აღმოჩნდება პრივილეგირებულ სიტუაციაში იმ დამრღვევთან შედარებით, რომელმაც ერთი მოქმედებით რამდენიმეჯერ დაარღვია ერთი და იგივე დებულება, რომელიც ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება. სამართლებრივი პრინციპის არათანმიმდევრულობის თავიდან ასაცილებლად და ქარტიით გათვალისწინებული თანაბარი მოპყრობის ფუნდამენტური უფლების

[14] EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პ.320.

[15] GDPR-ის 83(3) მუხლის თანახმად, „იმ შემთხვევაში თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი განზრახ ან უნებლიედ, მონაცემთა ერთჯერადი დამუშავებით ან მასთან დაკავშირებული დამუშავების შემთხვევაში დაარღვევს ამ რეგულაციის რამდენიმე დებულებას, ადმინისტრაციული ჯარიმის სრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებულ ოდენობას.“

შესასრულებლად, ასეთ შემთხვევებში, 83(3) მუხლი გამოყენებული უნდა იქნას mutatis mutandis.

42. ქმედების ერთობლიობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმის ჯამური ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებულ ოდენობას. „რაც შეეხება GDPR-ის 83(3) მუხლის ინტერპრეტაციას, EDPB აღნიშნავს, რომ effet utile პრინციპის თანახმად, ყველა დაწესებულებამ სრული ძალითა და ეფექტით უნდა აამოქმედოს ევროკავშირის სამართალი.“[16] ამ მხრივ, GDPR-ის 83(3) მუხლი არ უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ „ჯარიმის შეფასებისას არ აქვს მნიშვნელობა, სამართალდამრღვევმა GDPR-ის ერთი დარღვევა ჩაიდინა თუ რამდენიმე“.[17]

43. ტერმინი „ჯამური ოდენობა“ ნიშნავს, რომ ჯარიმის ოდენობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ჩადენილი დარღვევა,[18] ხოლო ფრაზა „ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებული ოდენობა“ მიუთითებს ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობაზე, რომელსაც ადგენს კანონი (მაგ., GDPR-ის მუხლი 83(4)-(6)). შესაბამისად, „მართალია, თავად ჯარიმა არ უნდა აჭარბებდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას, სამართალდამრღვევი ცალსახად უნდა იქნას ცნობილი რამდენიმე დებულების დარღვევაში დამნაშავედ, ხოლო ეს დარღვევები გათვალისწინებული უნდა იქნას საბოლოო ჯარიმის ოდენობის შეფასებისას.“[19] აღნიშნული არ აკნინებს საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებას, გაითვალისწინოს ჯარიმის პროპორციულობის საჭიროება. ამავდროულად, არ უნდა მოხდეს სხვა დარღვევების უგულებელყოფა და ისინი ჯარიმის გამოანგარიშებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

3.2 ერთზე მეტი სანქცირებადი ქმედება

44. ქმედებების სიმრავლის პრინციპი (რომელსაც, აგრეთვე, უწოდებენ „Realkonkurrenz“, „ფაქტობრივ თანხვედრას“ ან „შემთხვევით თანხვედრას“) აღწერს ყველა იმ შემთხვევას, რომელსაც არ მოიცავს დარღვევათა თანხვედრის პრინციპები (თავი 3.1.1) ან GDPR-ის 83(3) მუხლი (თავი 3.1.2).

45. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც აღნიშნულ დარღვევებზე რეაგირება ხდება ერთი გადაწყვეტილების ფარგლებში, არის ის, რომ ამ დარღვევებმა საზედამხედველო ორგანოს ყურადღება მიიქცია ერთდროულად, რაც წარმოადგენს შემთხვევითობას, ხოლო აღნიშნული დარღვევები არ წარმოადგენს ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან

[16] EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პ. 322.
[17] Ibid, პ.323.
[18] Ibid, პ.325.
[19] Ibid, პ.326.

დაკავშირებულ ოპერაციებს, GDPR-ის 83(3) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ სამართალდამრღვევმა დაარღვია რამდენიმე საკანონმდებლო დებულება და ხდება ინდივიდუალური ჯარიმების დაწესება ეროვნული პროცედურის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების შესახებ ერთი და იგივე ან რამდენიმე გადაწყვეტილების ფარგლებში. ამას გარდა, ვინაიდან არ მოქმედებს GDPR-ის 83(3) მუხლი, ადმინისტრაციული ჯარიმის ჯამური ოდენობა შესაძლოა, აჭარბებდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებულ ოდენობას (argumentum e contrario). ქმედებათა სიმრავლის შემთხვევები არ წარმოშობს რაიმე მიზეზს, რის გამოც სამართალდამრღვევს რაიმე პრივილეგია უნდა მიენიჭოს ჯარიმის გამოანგარიშებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, კვლავ მოქმედებს პროპორციულობის ზოგად პრინციპთან შესაბამისობის ვალდებულება.

<u>მაგალითი 3 - ქმედებათა სიმრავლე</u>

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ტერიტორიაზე მონაცემთა დაცვის შემოწმების შემდგომ, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ვერ უზრუნველყო საკუთარი ვებსაიტის უსაფრთხოების შეფასებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცედურის დანერგვა, თანამშრომლებისთვის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება (ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე) და საზედამხედველო ორგანოსთვის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რა დროსაც დაირღვა კომპანიის სავაჭრო პარტნიორების შესახებ მონაცემთა უსაფრთხოება. არცერთი აღნიშნული დარღვევა არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში, სპეციფიკურობის, სუბსიდიარობის და მიზეზშედეგობრიობის პრინციპების გათვალისწინებით. ამას გარდა, ისინი არ წარმოადგენენ დამუშავების ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ოპერაციებს, კერძოდ: ისინი ქმნიან არა ქმედებათა ერთიანობას, არამედ, ქმედებათა სიმრავლეს. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა სხვადასხვა ქმედების შედეგად დაარღვია GDPR-ის მე-12, 32-ე და 33-ე მუხლები. ჯარიმის დაკისრება მოხდა თითოეულ ქმედებასთან მიმართებით, ხოლო ჯამური ოდენობა არ დაექვემდებარა რომელიმე ქმედებისთვის კანონით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

თავი 4 - საწყისი წერტილი ჯარიმის გამოანგარიშებისთვის

46. EDPB მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ჯარიმის გამოანგარიშებისთვის, საწყისი (ამოსავალი) წერტილი უნდა იყოს ჰარმონიზებული.[20] საწყისი წერტილი ქმნის საფუძველს შემდგომი გამოთვლისთვის, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება და ფასდება საქმის ყველა გარემოებები და შედეგად დგინდება ჯარიმის საბოლოო ოდენობა, რომელიც მოცემულ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს უნდა დაეკისროს.

47. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში ჰარმონიზებული საწყისი წერტილის განსაზღვრა არ გამორიცხავს და არ უნდა გამორიცხავდეს საზედამხედველო ორგანოების მიერ თითოეული შემთხვევის შეფასებას არსებითი გარემოებების მიხედვით. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/უფლებამოსილ პირზე დაწესებული ჯარიმა, შესაძლოა, წარმოადგენდეს ნებისმიერ ოდენობას, ჯარიმის კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობამდე, იმ პირობით, თუ ჯარიმა არის ეფექტური, პროპორციული და აქვს შემაკავებელი ძალა. საწყისი წერტილის არსებობა არ გამორიცხავს საზედამხედველო ორგანოს მიერ ჯარიმის შემცირებას ან გაზრდას (მაქსიმალურ ზღვრამდე), თუ გარემოებები ამას მოითხოვს.

48. EDPB მიიჩნევს, რომ შემდგომი გამოანგარიშებისთვის საწყისი წერტილის ფორმირებას ახდენს სამი ელემენტი: დარღვევების კატეგორიზაცია, მათი სახეობის მიხედვით (GDPR-ის 83(4)-(6) მუხლის შესაბამისად), დარღვევის სიმძიმე (რაც განხილულია ქვემოთ, 4.2 სექციაში) და საწარმოს ბრუნვა, რაც ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ეფექტური, შემაკავებელი ძალის მქონე და პროპორციული ჯარიმის დაწესებისას, GDPR-ის 83(1) მუხლის შესაბამისად. აღნიშნული საკითხები განხილულია ქვემოთ, 4.1, 4.2 და 4.3 თავებში.

4.1 - დარღვევების კატეგორიზაცია GDPR-ის 83(4)-(6) მუხლის შესაბამისად

49. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების და უფლებამოსილი პირების თითქმის ყველა მოვალეობა კატეგორიზებულია მათი ხასიათის მიხედვით, GDPR-ის 83(4)-(6) მუხლის შესაბამისად.[21] GDPR ითვალისწინებს დარღვევების ორ კატეგორიას: დარღვევები, რომლებიც დასჯადია 83-ე მუხლის მეოთხე პუნქტის

[20] იმ პირობით, რომ სახელმძღვანელო პრინიციპები ტოვებს საკმარის შესაძლებლობას იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ჯარიმა მოერგოს საქმის გარემოებებს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (შემდგომში, CJEU), ზოგადად ეთანხმება კალკულაციების დაყწყებას აბსტრაქტული საწყისი წერტილიდან. კერძოდ, ერთ წარმოებად გაერთიანებული საქმეები C-189/02 P, C-202/02 P, C-205/02 P - C-208/02 P და C-213/02 P, Dansk Rørindustri, აგრეთვე, ბოლოდროინდელი საქმეები T-15/02,BASFAG v. Commission, პუნქტები 120-121; 134, საქმე C-227/14 P, LG Display Co. Ltd v. Commission, პ. 53 და საქმე T-26/02, Daiichi Pharmaceutical Co. Ltd v. Commission, პ.50.

[21] ამასთან დაკავშირებით, ასევე, იხ. სახელმძღვანელო პრინციპები WP 253, გვ.9.

თანახმად და დარღვევები, რომლებიც დასჯადია 83-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად. დარღვევების პირველი კატეგორია ექვემდებარება ჯარიმას, რომლის მაქსიმალური ოდენობაა 10 მილიონი ევრო ან საწარმოს წლიური ბრუნვის 2% (გამოყენებული იქნება ის ოდენობა, რომელიც უფრო მაღალია). მეორე კატეგორიის დარღვევები კი ექვემდებარება ჯარიმას, რომლის მაქსიმალური ოდენობაა 20 მილიონი ევრო ან საწარმოს წლიური ბრუნვის 4% (გამოყენებული იქნება ის ოდენობა, რომელიც უფრო მაღალია).

50. აღნიშნული კატეგორიების საფუძველზე, კანონმდებელმა აბსტრაქტული სახით განსაზღვრა დარღვევის სერიოზულობის მიმანიშნებელი პირველი ფაქტორი. რაც უფრო მძიმეა დარღვევა, მით უფრო მაღალი იქნება ჯარიმა.

4.2 ჯარიმის სიმძიმე თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში

51. GDPR-ის თანახმად, საზედამხედველო ორგანომ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა, დამუშავების ხასიათი, მასშტაბი და მიზანი, ისევე, როგორც დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა და მათ მიერ განცდილი ზიანი (GDPR-ის 83(2)(a) მუხლი); დარღვევის განზრახ ან უნებლიედ ჩადენის ფაქტორი (GDPR-ის 83(2)(b) მუხლი); და მონაცემთა კატეგორიები, რომელთაც შეეხო დარღვევა (GDPR-ის 83(2)(g) მუხლი). წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისთვის, EDPB ამ ფაქტორებს უწოდებს დარღვევის სიმძიმეს.

52. საზედამხედველო ორგანომ ეს ფაქტორები უნდა განიხილოს კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით და ამ ანალიზზე დაყრდნობით დაადგინოს სამართალდარღვევის სიმძიმე, მე-60 პუნქტში მითითებული კატეგორიების შესაბამისად. ამ მხრივ, საზედამხედველო ორგანომ შესაძლებელია გაითვალისწინოს, თუ რამდენად პირდაპირ იდენტიფიცირებადია მოცემული მონაცემები. ეს ფაქტორები წინამდებარე დოკუმენტში ინდივიდუალურადაა განხილული, თუმცა, რეალურად, ისინი ხშირად ერთმანეთთან დაკავშირებულია და აღქმული უნდა იქნას მთლიანად საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

4.2.1 - დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა

53. GDPR-ის 83(2)(a) მუხლი, რომელიც არის ფართოდ ფორმულირებული, საზედამხედველო ორგანოს ავალდებულებს, სრულად განიხილოს ის ელემენტები, რომლებიც წარმოადგენს დარღვევას და დარღვევა განარჩიოს იგივე სახის სხვა

დარღვევებისგან. შესაბამისად, აღნიშნული შეფასების ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი სპეციფიკური ფაქტორები:

a. **დარღვევის ხასიათი,** რომელიც ფასდება საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, ანალიზი უფრო სპეციფიკურია, ვიდრე GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტებში წარმოდგენილი აბსტრაქტული კლასიფიკაცია. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს, თუ რა ინტერესს იცავს დარღვეული დებულება და რა ადგილი აქვს ამ დებულებას მონაცემთა დაცვის ჩარჩოში. ამას გარდა, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს, თუ რამდენად შეაფერხა დარღვევამ შესაბამისი დებულების ეფექტური გამოყენება და ამ დებულებით დაცული მიზნის განხორციელება.

b. **დარღვევის სიმძიმე,** რომელიც ფასდება კონკრეტული გარემოებების მიხედვით. როგორც GDPR-ის 83(2)(a) მუხლშია მითითებული, აღნიშნული ეხება დამუშავების ხასიათს, ისევე, როგორც დამუშავების მიზანს და მასშტაბს, დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობას და მათ მიერ განცდილ ზიანს. ეს ყოველივე დარღვევის სიმძიმეზე მიუთითებს.

   i. **დამუშავების ხასიათი,** მათ შორის, კონტექსტი, რომელსაც ფუნქციონალური თვალსაზრისით ეფუძნება დამუშავება (მაგ., ბიზნეს აქტივობა, არაკომერციული ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია და ა.შ.) და დამუშავების ყველა მახასიათებელი.[22] როდესაც დამუშავების ხასიათი დაკავშირებულია მაღალ რისკებთან, ე.ი., როდესაც მიზანს წარმოადგენს პერსონალური ასპექტების მონიტორინგი, შეფასება ან გადაწყვეტილებების ან ღონისძიებების მიღება, რომელთაც უარყოფითი გავლენა აქვს მონაცემთა სუბიექტებზე, დამუშავების კონტექსტის და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის როლის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა, მეტი წონა მიანიჭოს ამ ფაქტორს. ამას გარდა, საზედამხედველო ორგანომ, შესაძლოა, მეტი წონა მიანიჭოს

[22] მაგალითად, „დარღვევის ხასიათთან“ დაკავშირებული ელემენტების გაანალიზებისას, 01/2020 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა ირლანდიის საზედამხედველო ორგანოს მიერ Twitter International Company-სთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების პროექტიდან მომდინარე დავას, EDPB-მ რეგულაციის 65(1)(a) მუხლის საფუძველზე (შემდგომში, „EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 01/2020“) აღნიშნა, რომ „მოცემული დამუშავება“ მოიცავდა კომუნიკაციებს მონაცემთა სუბიექტების მიერ, რომელთაც განზრახ აირჩიეს ამგვარი კომუნიკაციების აუდიტორიის შეზღუდვა, და გასცა რეკომენდაცია, რომ ეს ასპექტი გათვალისწინებული ყოფილიყო დამუშავების ხასიათის შეფასებისას. ამ კონტექსტთან დაკავშირებით, ასევე, იხ. EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 01/2020, პ.186.

აღნიშნულ ფაქტორს, თუ არსებობს მკაფიო დისბალანსი მონაცემთა სუბიექტებსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის (მაგ., მონაცემთა სუბიექტები არიან დასაქმებულები, მოსწავლეები ან პაციენტები) ან დამუშავება ეხება მოწყვლად მონაცემთა სუბიექტებს, განსაკუთრებით, ბავშვებს.

ii. **დამუშავების მასშტაბი,** რაც გულისხმობს ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო მასშტაბს და ამ ინფორმაციასა და კავშირს, რომელიც არსებობს ამ ინფორმაციასა და დამუშავების რეალურ მასშტაბს შორის, პასუხისმგებელი პირის მიერ გამოყოფილი რესურსების თვალსაზრისით. ეს ელემენტი მოიცავს რეალურ რისკ-ფაქტორს, ვინაიდან რაც უფრო იზრდება დამუშავების მასშტაბი, მით უფრო რთული ხდება მონაცემთა სუბიექტისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ უკანონო ქმედების აღკვეთის შესაძლებლობა. რაც უფრო იზრდება დამუშავების მასშტაბი, მით უფრო მეტი წონა შეუძლია მიანიჭოს ამ ფაქტორს საზედამხედველო ორგანომ.

iii. **დამუშავების მიზანი** არის ფაქტორი, რომელსაც საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა მიანიჭოს მეტი წონა/მნიშვნელობა. საზედამხედველო ორგანო განსაზღვრავს, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხვდება თუ არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ე.წ. ძირითადი აქტივობების ქვეშ. რაც უფრო მნიშვნელოვანია დამუშავება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ძირითად აქტივობებთან მიმართებით, მით უფრო მძიმე იქნება დარღვევები. საზედამხედველო ორგანოს შეუძლია ამ ფაქტორს უფრო მეტი წონა/მნიშვნელობა მიანიჭოს. ამავდროულად, გარკვეულ გარემოებებში პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლოა უფლებამოსილი ან პასუხისმგებელი პირის ძირითადი აქტივობებისგან განყენებული იყოს, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს შეფასებაზე (მაგალითად, დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, როდესაც დარღვევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასაქმებულთა ღირსებაზე).

iv. დაზარალებულების ან პოტენციური დაზარალებულების (მონაცემთა სუბიექტები) **რაოდენობა**. რაც უფრო მაღალი იქნება იმ მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა, ვისაც ეხება დამუშავება, მით მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს საზედამხედველო ორგანო ამ ფაქტორს. ხშირად, ითვლება,

რომ თუ დარღვევას აქვს „სისტემური“ ელფერი, მან შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სხვა მონაცემთა სუბიექტებზეც (თუნდაც სხვადასხვა დროს), ვისაც საზედამხედველო ორგანოსთვის არ წარუდგენიათ საჩივრები ან შეტყობინებები. შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა გაითვალისწინოს დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობასა და მოცემულ კონტექსტში არსებული მონაცემთა სუბიექტების ჯამურ რაოდენობას (ე.ი., მოქალაქეების, მომხმარებლების ან დასაქმებულების რაოდენობა) შორის არსებული თანაფარდობა, რათა შეაფასოს, თუ რამდენად სისტემურია დარღვევა.

v. **განცდილი ზიანის** დონე და დარღვევის გავლენა ფიზიკური პირის უფლებებზე და თავისუფლებებზე. ზიანის „დონეზე“ მითითება მიზნად ისახავს, საზედამხედველო ორგანოების ყურადღების მიპყრობას განცდილ ან სავარაუდოდ განცდილ ზიანზე, რაც ცალკე, დამატებით პარამეტრს წარმოადგენს შესაბამის მონაცემთა სუბიექტებთან მიმართებით (მაგ., ისეთ შემთხვევებში, როდესაც უკანონო დამუშავებამ გავლენა იქონია ბევრ ადამიანზე, თუმცა, განცდილი ზიანი არის უმნიშვნელო). GDPR-ის პრეამბულის 75-ე მუხლის თანახმად, განცდილი ზიანი გულისხმობს ფიზიკურ, მატერიალურ ან არამატერიალურ ზიანს. ზიანის შეფასება, ნებისმიერ შემთხვევაში, შემოიფარგლება იმით, რაც ფუნქციურად აუცილებელია დარღვევის სიმძიმის დონის სწორი შეფასებისთვის (იხ. მე-60 პუნქტი ქვემოთ), სასამართლო ორგანოების აქტივობების დუბლირების გარეშე, რომელთაც ევალებათ ინდივიდუალური ზიანის სხვადასხვა ფორმის დადგენა.

c. **დარღვევის ხანგრძლივობა,** რაც ნიშნავს იმას, რომ საზედამხედველო ორგანო, ზოგადად, უფრო მეტ წონას/მნიშვნელობას ანიჭებს დარღვევას, რომელიც უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა. რაც უფრო ხანგრძლივია დარღვევის მიმდინარეობა, მით მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს საზედამხედველო ორგანო ამ ფაქტორს. ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, თუ მოცემული ქმედება უკანონო ქმედებას წარმოადგენდა GDPR-ის ამოქმედებამდე არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, ჯარიმის რაოდენობის განსაზღვრისას შესაძლებელია როგორც GDPR-ის ამოქმედების შემდგომ პერიოდის, ისე წინა პერიოდის გათვალისწინება, ხოლო წინა პერიოდის გათვალისწინება უნდა

მოხდეს GDPR-ის ამოქმედებამდე არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

54. საზედამხედველო ორგანო ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს მნიშვნელობას მიანიჭებს საქმის გარემოებების შესაბამისად. თუ ეს ფაქტორები არ არის რელევანტური, ისინი შესაძლოა ნეიტრალურადაც ჩაითვალოს.

4.2.2 - დარღვევის განზრახ ან უნებლიედ (გაუფრთხილებლობით) ჩადენა

55. წინა გზამკვლევში EDPB აღნიშნავდა, რომ „ზოგადად, განზრახვა მოიცავს როგორც ცოდნას, ისე ნებას სამართალდარღვევის მახასიათებლებთან მიმართებით, ხოლო „უნებლიედ“ ნიშნავს, რომ არ არსებობდა დარღვევის გამოწვევის განზრახვა, თუმცა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/უფლებამოსილმა პირმა დაარღვია სიფრთხილის მოვალეობა, რაც კანონით არის მოთხოვნილი.“[23] ამ თვალსაზრისით, დარღვევის უნებლიედ ჩადენა არ უტოლდება არანებაყოფლობითობას.

მაგალითი 4 - განზრახვის და დაუდევრობის მაგალითები (WP253)[24]

გარემოებები, რომლებიც განზრახ დარღვევაზე მიუთითებს, შესაძლოა, იყოს უკანონო დამუშავება, რომელიც ცალსახად ავტორიზებულია უმაღლესი მენეჯმენტის მიერ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის იერარქიაში, ან ხორციელდება მონაცემთა დაცვის ოფიცრის რეკომენდაციის მიუხედავად ან არსებული პოლიტიკის უგულებელყოფით, მაგალითად, კონკურენტ კომპანიაში დასაქმებულების შესახებ მონაცემების მოპოვება და დამუშავება, რის მიზანსაც წარმოადგენს კონკურენტის დისკრედიტაცია ბაზარზე. სხვა მაგალითები:

- პერსონალურ მონაცემებში ცვლილებების შეტანა, რათა შეიქმნას მცდარი (დადებითი) შთაბეჭდილება სამიზნე ნიშნულების მიღწევასთან დაკავშირებით - აღნიშნული ჩვენ შეგვხვედრია საავადმყოფოში მოლოდინის დროების კონტექსტში;

- პერსონალური მონაცემებით ვაჭრობა მარკეტინგული მიზნებისთვის, ე.ი., მონაცემების გაყიდვა მათი გამოყენების შესახებ მონაცემთა სუბიექტების მოსაზრებების უგულებელყოფით/გადამოწმების გარეშე.

[23] სახელმძღვანელო პრინციპები WP 253, გვ.11

[24] მაგალითები ციტირებულია პირდაპირ WP 253 სახელმძღვანელო პრინციპებიდან, გვ.12.

> დაუდევრობაზე შესაძლოა, მიუთითებდეს სხვა გარემოებებიც, როგორიცაა: არსებული პოლიტიკის უგულებელყოფა; ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომა; როდესაც არ ხდება პერსონალური მონაცემების ამოღება გამოქვეყნებული ინფორმაციიდან; როდესაც ტექნიკური განახლებები არ გამოიყენება დროულად; არ ხდება შესაბამისი პოლიტიკის არა მხოლოდ გამოყენება, არამედ, მიღებაც.“

56. დარღვევის შემთხვევაში, განზრახვა ან დაუდევრობა (GDPR-ის 83(2)(b) მუხლი) უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, ქცევის ობიექტური ელემენტების გათვალისწინებით. EDPB ხაზს უსვამს, რომ ზოგადად აღიარებულია, რომ განზრახ დარღვევები „რომლებიც ახდენს კანონის დებულებებისადმი უპატივცემულობის დემონსტრირებას, უფრო მძიმე დარღვევებია, ვიდრე უნებლიე დარღვევები“.[25] განზრახ დარღვევის შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანო უფრო მეტ წონას ანიჭებს ამ ფაქტორს. საქმის გარემოებების მიხედვით, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭოს დაუდევრობის ხარისხსაც. საუკეთესო შემთხვევაში, დაუდევრობა შესაძლოა, ნეიტრალურ ფაქტორად იქნას მიჩნეული.

4.2.3 იმ პერსონალური მონაცემების კატეგორიები, რომელთაც დარღვევა შეეხო

57. რაც შეეხება მოთხოვნას, გათვალისწინებული იქნას მონაცემთა კატეგორიები, რომელთაც დარღვევა შეეხო (GDPR-ის 83(2)(g) მუხლი), GDPR მკაფიოდ უსვამს ხაზს, თუ რა ტიპის მონაცემები საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას და შესაბამისად, უფრო მკაცრ რეაგირებას, ჯარიმების თვალსაზრისით. აღნიშნული, როგორც მინიმუმ, შეეხება რეგულაციის მე-9 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ მონაცემებს და მონაცემებს, რომლებიც ხვდება ამ მუხლების ფარგლებს გარეთ და მათი გავრცელება გარდაუვალ ზიანს ან ემოციურ ტანჯვას აყენებს მონაცემთა სუბიექტს[26] (მაგ., ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი მონაცემები, პირადი კომუნიკაციის შესახებ მონაცემები, პირადი ნომერი ან ფინანსური მონაცემები, როგორიცაა, ტრანზაქციის შესახებ ინფორმაცია ან საკრედიტო ბარათის მონაცემები).[27] ზოგადად, მონაცემთა რაც უფრო მეტ

[25] სახელმძღვანელო პრინციპები WP253, გვ.12

[26] იქვე, გვ.14

[27] პირადი კომუნიკაციების და ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი მონაცემების გავრცელებამ, შესაძლოა, გარდაუვალი ზიანი ან ემოციური ტანჯვა მიაყენის მონაცემთა სუბიექტს, რასაც ადასტურებს ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მე-7 მუხლით და 2002/58/EC დირექტივით პირადი კომუნიკაციებისთვის გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვა, და CJEU-ს მიერ განხილული ზოგიერთი საქმე, რომელიც ეხება ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ მონაცემებს - იხ., გაერთიანებული საქმეები C-511/18 ,C-512/18 და C-520/18, La Quadraturedu Netetal, პ.117 და იქ მითითებული პრეცედენტული სამართალი.

კატეგორიებს ეხება დარღვევა ან რაც უფრო სენსიტიურია ეს მონაცემები, მით მეტ წონას ანიჭებს საზედამხედველო ორგანო აღნიშნულ ფაქტორს.

58. ამას გარდა, რელევანტური ფაქტორია თითოეული მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემების მოცულობა, იმის გათვალისწინებით, რომ რაც უფრო მეტია თითოეულ მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებული მონაცემების მოცულობა, მით უფრო მძიმეა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების დარღვევა.

4.2.4 დარღვევის სიმძიმის კლასიფიცირება და სათანადო საწყისი ოდენობის იდენტიფიცირება

59. ზემოაღნიშნული ფაქტორების შეფასებას (თავი 4.2.1-4.2.3) განსაზღვრავს მთლიანობაში დარღვევის სიმძიმე. ეს შეფასება არ არის მათემატიკური კალკულაცია, სადაც ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება ხდება ინდივიდუალურად, არამედ, საქმის კონკრეტული გარემოებების ამომწურავი შეფასება, ხოლო ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, დარღვევის სიმძიმის შეფასებისას, დარღვევა მთლიანობაში უნდა იქნას გათვალისწინებული.

60. ზემოაღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე დგინდება დარღვევის სიმძიმის დონე: (i) მსუბუქი, (iii) საშუალო ან (iii) მძიმე. აღნიშნული კატეგორიები არ გამორიცხავს ჯარიმის დაკისრება-არდაკისრების საკითხის განხილვას.

- **მსუბუქი** დარღვევებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშებისას, საზედამხედველო ორგანო შემდგომი გამოანგარიშებისთვის განსაზღვრავს საწყის ოდენობას, კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის 0-10%-მდე.

- **საშუალო სიმძიმის** დარღვევებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის გამოანგარიშებისას, საზედამხედველო ორგანო შემდგომი გამოანგარიშებისთვის განსაზღვრავს საწყის ოდენობას, კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის 10-დან 20%-მდე.

- **მძიმე** დარღვევებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის გამოანგარიშებისას, საზედამხედველო ორგანო შემდგომი გამოანგარიშებისთვის განსაზღვრავს საწყის ოდენობას, კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის 20-დან 100%-მდე.

61. როგორც წესი, რაც უფრო მძიმეა მოცემული ჯარიმა თავის კატეგორიაში, მით უფრო მაღალი იქნება საწყისი ოდენობა.

62. საწყისი ოდენობის დიაპაზონი მუდმივად გადაიხედება ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს და მისი წევრების მიერ და შესაძლებელია მისი ადაპტაცია, საჭიროების მიხედვით.

მაგალითი 5a - დარღვევის სიმძიმის განსაზღვრა (მძიმე დარღვევა)

მას შემდეგ, რაც საზედამხედველო ორგანომ შეისწავლა მომხმარებელთა არაერთი საჩივარი არასასურველი სატელეფონო ზარების შესახებ, დაადგინა, რომ სატელეფონო კომპანია მომხმარებელთა საკონტაქტო მონაცემებს იყენებდა ტელემარკეტინგის მიზნებისთვის, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (რეგულაციის მე-6 მუხლის დარღვევა). კერძოდ, სატელეფონო კომპანია მომხმარებელთა სახელებსა და რეგისტრირებულ ნომრებს აწვდიდა მესამე მხარეებს, მარკეტინგული მიზნებისთვის. სატელეფონო კომპანიამ აღნიშნული დარღვევა ჩაიდინა მონაცემთა დაცვის ოფიცრის რეკომენდაციის მიუხედავად და ისე, რომ მომხმარებლები არ უზრუნველყო მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის შესაძლებლობით. უფრო მეტიც, აღნიშნული პრაქტიკა 2018 წლის მაისში დაიწყო და გამოძიების მომენტისთვის კვლავ მიმდინარეობდა. სატელეფონო კომპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობს. შესაბამისად, აღნიშნულმა პრაქტიკამ 4 მილიონ მომხმარებელზე იქონია გავლენა. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ ყველა აღნიშნული მომხმარებელი რეგულარულად იღებდა არასასურველ ზარებს მესამე მხარეებისგან, ისე, რომ მათ არ ჰქონდათ ამ ზარების შეწყვეტის მოთხოვნის ეფექტური საშუალება.

საზედამხედველო ორგანოს დაევალა დარღვევის სიმძიმის განსაზღვრა. საწყის ეტაპზე, საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ რეგულაციის მე-6 მუხლის დარღვევა გათვალისწინებულია **რეგულაციის 83(5) მუხლში წარმოდგენილ ჩამონათვალში**. შესაბამისად, იგი მიეკუთვნებოდა 83-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევების შედარებით მაღალ კატეგორიას (higher tier). მეორე, საზედამხედველო ორგანომ შეაფასა საქმის გარემოებები. ამ მხრივ, მან მნიშვნელოვანი წონა მიანიჭა ***დარღვევის სახეობას,*** *ვინაიდან დარღვეული დებულება (რეგულაციის მე-6 მუხლი) ქმნის ზოგადად, მონაცემთა დამუშავების კანონიერების საფუძველს. ამ დებულებასთან შეუსაბამობა აუქმებს დამუშავების კანონიერებას. ამას გარდა, საზედამხედველო ორგანომ მნიშვნელოვანი წონა მიანიჭა* ***დარღვევის ხანგრძლივობას,*** *რომელიც დაიწყო GDPR-ის ძალაში შესვლისას და არ შეწყვეტილა გამოძიების დროს. ის ფაქტი, რომ სატელეფონო კომპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერირებდა, ზრდიდა* ***დამუშავების მასშტაბისთვის*** *მინიჭებულ წონას. იმ მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა, რომელსაც დამუშავება შეეხო იყო მაღალი (4 მილიონი. ამასთან, ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა იყო 14 მილიონი), ხოლო მონაცემთა სუბიექტების მიერ განცდილი* ***ზიანის დონე*** *საშუალოდ ჩაითვალა (არამატერიალური ზიანი, სიმშვიდის დარღვევის ფორმით). ეს უკანასკნელი შეფასება გაკეთდა იმ* ***მონაცემთა კატეგორიების*** *გათვალისწინებით, რომელსაც ეხებოდა დამუშავება*

(სახელი და ტელეფონის ნომერი). ამავდროულად, დარღვევის სიმძიმე გაიზარდა იმის გათვალისწინებით, რომ დარღვევა ჩადენილი იქნა მონაცემთა დაცვის ოფიცრის რეკომენდაციის მიუხედავად და ამრიგად, მიჩნეული იქნა ***განზრახ დარღვევად.***

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით (სიმძიმე, ხანგრძლივობა, მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა, მასშტაბი, განზრახვა და საშუალო ზიანი), საზედამხედველო ორგანომ დაასკვნა, რომ დარღვევა მიეკუთვნებოდა ***მძიმე დარღვევების კატეგორიას****. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ ჯარიმის საწყისი ოდენობა განსაზღვრა რეგულაციის 83(5) მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობის 20-100%-ის დიაპაზონში.*

მაგალითი 5ბ - დარღვევის სიმძიმის განსაზღვრა (საშუალო სიმძიმის დარღვევა)

საზედამხედველო ორგანომ საავადმყოფოსგან მიიღო შეტყობინება პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის შესახებ. ამ შეტყობინებაზე დაყრდნობით ირკვეოდა, რომ რამდენიმე თანამშრომელი გაეცნო პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ დაცული ინფორმაციის ნაწილს (რომელიც მათ დეპარტამენტს ეხებოდა), რომელზე წვდომაც მათ არ უნდა ჰქონოდათ. საავადმყოფოს მანამდე ჰქონდა შემუშავებული პროცედურები პაციენტთა სამედიცინო ჩანაწერებზე წვდომის დასარეგულირებლად და წვდომის შეზღუდვის მიზნით მან განახორციელა მკაცრი ღონისძიებები. კერძოდ, ერთი დეპარტამენტის თანამშრომლებს მხოლოდ იმ სამედიცინო ინფორმაციაზე ექნებოდათ წვდომა, რომელიც კონკრეტულად ამ დეპარტამენტს ეხებოდა. ამასთან, საავადმყოფომ განახორციელა ძალისხმევა თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გარკვეული პრობლემები არსებობდა ავტორიზაციების მონიტორინგის კუთხით. თანამშრომლებს, რომლებმაც შეიცვალეს დეპარტამენტები, კვლავ ჰქონდათ წვდომა პაციენტთა ჩანაწერებზე, თავიანთი „ძველი“ დეპარტამენტიდან, ხოლო საავადმყოფოში არ მოქმედებდა პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფდა პაციენტთა ჩანაწერებზე წვდომის კუთხით თანამშრომლის ავტორიზაციის შესაბამისობას მის ამჟამინდელ თანამდებობასთან. შიდა მოკვლევამ დაადასტურა, რომ მინიმუმ 150 თანამშრომელს (3500 თანამშრომლიდან) ჰქონდა არასათანადო ავტორიზაცია, რაც გავლენას ახდენდა 95,000 პაციენტიდან 20,000-ზე. საავადმყოფოს გააჩნდა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა რომ მინიმუმ 16 შემთხვევაში თანამშრომლებმა გამოიყენეს თავიანთი ავტორიზაცია პაციენტთა სამედიცინო ჩანაწერების სანახავად. საზედამხედველო ორგანო თვლის, რომ დაირღვა GDPR-ის 32-ე მუხლი.

*შემთხვევის სიმძიმის შეფასებისას, საზედამხედველო ორგანომ პირველ რიგში აღნიშნა, რომ 32-ე მუხლის დარღვევა გათვალისწინებულია 83(4) მუხლში წარმოდგენილ ჩამონათვალში. შესაბამისად, იგი მიეკუთვნებოდა 83-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევების შედარებით დაბალ კატეგორიას (lower tier). მეორე, საზედამხედველო ორგანომ შეაფასა საქმის გარემოებები. ამ მხრივ, მან მიიჩნია, რომ მართალია იმ მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა, **რომელზეც გავლენა მოახდინა დარღვევამ,** იყო მხოლოდ 16, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო, რომ დარღვევას 20,000 სუბიექტზე მოეხდინა გავლენა, ხოლო დარღვევის სისტემური ბინებიდან გამომდინარე, ასეთი სუბიექტების რაოდენობა შესაძლოა 95,000-მდეც კი გაზრდილიყო. ამას გარდა, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ დარღვევა იყო **დაუდევრობით** გამოწვეული, თუმცა, დაუდევრობა საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ნეიტრალურ ფაქტორად იქნა მიჩნეული. კერძოდ, საავადმყოფომ ვერ შეძლო დაენერგა ავტორიზაციის პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ მას ნამდვილად ჰქონდა ეს ვალდებულება, თუმცა, მან გარკვეული ნაბიჯები გადადგა წვდომის შეზღუდვის მიზნით მკაცრი ღონისძიებების განხორციელებისთვის. აღნიშნულ შეფასებაზე გავლენა არ მოახდინა იმ ფაქტმა, რომ მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების სხვა ღონისძიებები წარმატებით განხორციელდა, GDPR-ის მოთხოვნების შესაბამისად. და ბოლოს, საზედამხედველო ორგანომ მნიშვნელოვანი წონა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ პაციენტების სამედიცინო ჩანაწერები შეიცავდა მონაცემებს მათი ჯანმრთელობის შესახებ, რაც GDPR-ის მე-9 მუხლის თანახმად **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს** წარმოადგენს.*

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით (დამუშავების ხასიათი და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც რეალურად დაზარალდნენ ან პოტენციურად დაზარალდებოდნენ დარღვევის შედეგად) საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დარღვევა საშუალო სიმძიმის დარღვევას წარმოადგენდა. საზედამხედველო ორგანომ ჯარიმის საწყისი ოდენობა განსაზღვრა რეგულაციის 83(4) მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობის 10-20%-ის დიაპაზონში.

მაგალითი 5c - დარღვევის სიმძიმის განსაზღვრა (მსუბუქი დარღვევა)

საზედამხედველო ორგანომ არაერთი საჩივარი მიიღო ონლაინ მაღაზიასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მონაცემებზე წვდომის უფლებას. მომჩივნების თანახმად, მონაცემებზე წვდომის უფლების საფუძველზე წარდგენილი მოთხოვნების განხილვას სჭირდება 4-დან 6 თვემდე, რაც GDPR-ით გათვალისწინებულ ვადებს სცდება. საზედამხედველო ორგანომ მოახდინა

საჩივრების შესწავლა და დაადგინა, რომ მაღაზია შემთხვევათა 5%-ში წვდომის შესახებ მოთხოვნებს 3 თვის დაგვიანებით პასუხობს. მაღაზიამ 1 წელიწადში მონაცემებზე წვდომის 1,000 მოთხოვნას იღებს, საიდანაც 950 მოთხოვნაზე დროულად რეაგირებს. ამას გარდა, მაღაზიაში მოქმედებს პოლიტიკა მონაცემებზე წვდომის შესახებ მოთხოვნების სწორად და სრულად განხილვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საზედამხედველო ორგანომ დაასკვნა, რომ ონლაინ მაღაზიამ დაარღვია GDPR-ის 12(3) მუხლი და გადაწყვიტა ჯარიმის დაკისრება.

*ჯარიმის რაოდენობის განსაზღვრისას, საზედამხედველო ორგანომ შეაფასა დარღვევის სიმძიმე. პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ **მე-12 მუხლის დარღვევას შეიცავს 83(5) მუხლში წარმოდგენილი დარღვევების ჩამონათვალი.** შესაბამისად, დარღვევა მიეკუთვნება დარღვევების შედარებით მაღალ კატეგორიას (higher tier). მეორე, საზედამხედველო ორგანომ შეაფასა საქმის გარემოებები. ამ მხრივ, მან სიფრთხილით გააანალიზა **დარღვევის ხასიათი**. პერსონალურ მონაცემებზე დროული წვდომის უფლება მონაცემთა სუბიექტის უფლებების ერთ-ერთი ქვაკუთხედია, თუმცა, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ დარღვევის სიმძიმე ამ თვალსაზრისით, იყო ლიმიტირებული, ვინაიდან მაღაზია საბოლოოდ ყველა მოთხოვნას განიხილავდა, მცირე გაჭიანურებით. **დამუშავების მიზნის** გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება არ წარმოადგენდა ონლაინ მაღაზიის ძირითად აქტივობას, თუმცა, საქონლის ონლაინ გაყიდვის მიზნის შესასრულებლად მონაცემთა დამუშავება მნიშვნელოვანი დამხმარე აქტივობა იყო. საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ზრდიდა დარღვევის სიმძიმეს. მეორე მხრივ, მონაცემთა სუბიექტების მიერ **განცდილი ზიანი** მინიმალურად იქნა მიჩნეული, რადგან მაღაზია მოთხოვნებზე რეაგირებას ახდენდა მაქსიმუმ 6 თვის ვადაში.*

*ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით (დარღვევის ხასიათი, დამუშავების მიზანი და მიყენებული ზიანის დონე), საზედამხედველო ორგანომ დაასკვნა, რომ დარღვევა განეკუთვნებოდა **მსუბუქი კატეგორიის** დარღვევებს. საზედამხედველო ორგანომ ჯარიმის საწყისი ოდენობა განსაზღვრა რეგულაციის 83(5) მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობის 0-10%-ის დიაპაზონში.*

4.3 საწარმოს ბრუნვის გათვალისწინება ეფექტური, შემაკავებელი ძალის მქონე და პროპორციული ჯარიმის დაკისრებისას

63. GDPR-ის თანახმად, თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური, შემაკავებელი ძალისა და პროპორციული ჯარიმის დაკისრება თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში (GDPR-ის 83(1) მუხლი).

ევროკავშირის სამართლის ამ პრინციპების გამოყენებამ შესაძლოა, მასშტაბური გავლენა იქონიოს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე, რადგან ის საწყისი წერტილი, რომელსაც GDPR ითვალისწინებს ადმინისტრაციული ჯარიმების გამოსათვლელად თანაბრად ვრცელდება როგორც მიკროსაწარმოებზე, ისე საერთაშორისო კორპორაციებზე. იმისათვის, რომ ჯარიმა ყველა შემთხვევაში იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე, საზედამხედველო ორგანოებმა ადმინისტრაციული ჯარიმები უნდა განსაზღვრონ ჯარიმების ხელმისაწვდომი დიაპაზონის ფარგლებში, კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობამდე. შედეგად, საქმის გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ან შემცირდეს ჯარიმის ოდენობა.

64. EDPB მიიჩნევს, რომ ჯარიმის საწყისი ოდენობის განსაზღვრისას სამართლიან მიდგომას წარმოადგენს საწარმოს ზომის და შესაბამისად, მისი ბრუნვის გათვალისწინება.[28] EDPB მისდევს ზოგადად რეგულაციით, რეგულაციის 83-ე მუხლით და CJEU-ს პრეცედენტული სამართლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც საწარმოს ბრუნვა მისი ზომისა და ეკონომიკური ძალის განმსაზღვრელი ფაქტორია.[29] ამავდროულად, აღნიშნული საზედამხედველო ორგანოს არ ათავისუფლებს ჯარიმის გამოანგარიშების პროცესის დასასრულს, ჯარიმის ეფექტურობის, შემაკავებელი ძალის და პროპორციულობის შეფასების პასუხისმგებლობისგან (იხ. მე-7 თავი). ეს უკანასკნელი მოიცავს საქმის ყველა გარემოებას, მათ შორის, მაგალითად, მრავლობითი დარღვევების დაგროვებას, დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს და ფინანსურ/სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებს. ამავდროულად, საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი და იგივე გარემოების გათვალისწინება არ მოხდეს ორჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯარიმის ოდენობის დაკორექტირება (მომატება ან შემცირება) ხდება კომპანიის ბრუნვასთან მიმართებით (იხ. მე-7 თავი).

65. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, საწყისი ოდენობა დააკორექტიროს დარღვევის სიმძიმის შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დარღვევა ჩადენილია საწარმოს მიერ, რომლის წლიური

[28] ასევე, იხ. EDPB სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, 411 და 412 პუნქტები: „საწარმოს ბრუნვა არ წარმოადგენს მხოლოდ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის განმსაზღვრელ ფაქტორს, GDPR-ის 83(4)-(6) მუხლის შესაბამისად, არამედ, მისი გათვალისწინება შესაძლებელია თავად ჯარიმის გამოანგარიშების დროს [როგორც ერთ-ერთი რელევანტური ფაქტორი], საჭიროების შემთხვევაში, რათა ჯარიმა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე, GDPR-ის 83(1) მუხლის შესაბამისად“. საწარმოს ბრუნვა უფრო დეტალურად არის განხილული წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების 6.2 თავში.

[29] აღნიშნული მითითებულია ევროკავშირის საერთო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, T-25/06, Alliance One International, Inc. v European Commission, პ.211, რომელიც მიუთითებს სხვა საქმეებზე, კერძოდ, T-9/99, HFB and Others v Commission, პ.528 და 529, და საქმე T-175/05, Akzo Nobel and Others v Commission, პ.114.

ბრუნვა არ აღემატება გარკვეულ ზღვრულ ოდენობებს, კერძოდ: 2 მილიონ ევროს, 10 მილიონ ევროს და 50 მილიონ ევროს.[30]

- **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა ≤ 2 მილიონ ევროზე**, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დადგენილი საწყისი ოდენობის 0.2%-სა და 0.4%-ს შორის მერყეობს.

- **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა არის 2 მილიონი ევროდან 10 მილიონ ევრომდე,** საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დადგენილი საწყისი ოდენობის 0.3%-სა და 2%-ს შორის მერყეობს.

- **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა არის 10 მილიონი ევროდან 50 მილიონ ევრომდე,** საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დადგენილი საწყისი ოდენობის 1.5%-სა და 10%-ს შორის მერყეობს.

66. იგივე მიზეზების გამო, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, საწყისი ოდენობა დააკორექტიროს დარღვევის სიმძიმის შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დარღვევა ჩადენილია საწარმოს მიერ, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება გარკვეულ ზღვრულ ოდენობებს, კერძოდ: 100 მილიონ ევროს, 250 მილიონ ევროს და 500 მილიონ ევროს[31].

    - **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა არის 50 მილიონი ევროდან 100 მილიონ ევრომდე,** საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დადგენილი საწყისი ოდენობის 8%-სა და 20%-ს შორის მერყეობს.

    - **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა არის 100 მილიონი ევროდან 250 მილიონ ევრომდე,** საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დადგენილი საწყისი ოდენობის 15%-სა და 50%-ს შორის მერყეობს.

---

[30] ბრუნვასთან დაკავშირებული ციფრები შთაგონებულია კომისიის 2003 წლის 6 მაისის რეკომენდაციით, რომელიც ეხება მიკრო, მცირე ზომის და საშუალო ზომის საწარმოების განსაზღვრებას. საწყისი ოდენობების დადგენასთან დაკავშირებით, EDPB ითვალისწინებს საწარმოს წლიურ ბრუნვას (იხ. თავი 6).

[31] ამ რიცხვების დამატების მიზანია, შეივსოს ის „სიცარიელე“, რომელიც არსებობს წინა პუნქტში იდენტიფიცირებულ ყველაზე მაღალ ზღვარსა და GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტებში იდენტიფიცირებულ ზღვარს შორის.

- **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა არის 250 მილიონი ევროდან 500 მილიონ ევრომდე**, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დადგენილი საწყისი ოდენობის 40%-სა და 100%-ს შორის მერყეობს.

- **იმ საწარმოების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა 500 მილიონ ევროს აღემატება**, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გამოიანგარიშოს საწყისი თანხის დაკორექტირების გარეშე. მართლაც, ამგვარი საწარმოები ისედაც აჭარბებენ კანონით დადგენილ ფიქსირებულ მაქსიმალურ ოდენობას. ამრიგად, საწარმოს ზომა უკვე ასახულია იმ დინამიკურ მაქსიმალურ ოდენობაში, რომელიც გამოიყენება შემდგომი გამოთვლებისთვის საწყისი ოდენობის განსაზღვრისთვის, დარღვევის სიმძიმის შეფასების საფუძველზე.

67. ზოგადი წესის სახით, რაც უფრო მაღალია საწარმოს ბრუნვა შესაბამის კატეგორიაში, მით უფრო მაღალი იქნება საწყისი ოდენობა. ეს განსაკუთრებით ეხება საწარმოებს, რომელთა შემთხვევაშიც საწყისი ოდენობის ფართო დიაპაზონია გათვალისწინებული.

68. ამას გარდა, საზედამხედველო ორგანოს არ აქვს ვალდებულება, საწყისი ოდენობა დააკორექტიროს, თუ ჯარიმის ეფექტურობის, შემაკავებელი ძალისა და პროპორციულობის პრინციპი არ მოითხოვს ჯარიმის საწყისი ოდენობის დაკორექტირებას.

69. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები შემდგომი გამოთვლების მხოლოდ საწყის წერტილს წარმოადგენს და GDPR-ის დებულებების დარღვევებთან დაკავშირებით ფიქსირებული ოდენობები („იარლიყები“) არ არის გათვალისწინებული. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს ჯარიმისთვის გათვალისწინებული ოდენობების სრული სპექტრი, კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობამდე. ამავდროულად, მან უნდა უზრუნველყოს ჯარიმის მორგება საქმის გარემოებებზე, რა მოთხოვნასაც ადგენს მართლმსაჯულების სასამართლო, აბსტრაქტული საწყისი ოდენობის გამოყენების შემთხვევაში.

მაგალითი 6a - საწყისი ოდენობის განსაზღვრა შემდგომი გამოთვლისთვის

სუპერმარკეტების ქსელმა, რომლის წლიური ბრუნვაც 450 მილიონ ევროს აღწევს, GDPR-ის მე-12 მუხლი დაარღვია. საზედამხედველო ორგანომ საქმის გარემოებების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ დარღვევა იყო მსუბუქი კატეგორიის. შემდგომი გამოთვლისთვის საწყისი ოდენობის განსაზღვრის მიზნით, საზედამხედველო ორგანო პირველ რიგში მიუთითა, რომ მე-12 მუხლის დარღვევას შეიცავს 83-ე მუხლის 5(b) პუნქტში წარმოდგენილი ჩამონათვალი, ხოლო საწარმოს წლიური ბრუნვის გათვალისწინებით (450 მილიონი ევრო), ამ

შემთხვევაში, მოქმედებდა კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობა - 20 მილიონი ევრო.

სიმძიმის დონის გათვალისწინებით (მსუბუქი დარღვევა), საწყისი ოდენობა იყო 0-დან 2 მილიონ ევრომდე (კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის 0-10%, იხ. პ.60 ზემოთ).

საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ გამართლებული იყო საწყისი ოდენობის შემცირება 90%-მდე, საწარმოს ზომისა და 450 მილიონი ევროს ოდენობის წლიური ბრუნვის გათვალისწინებით. სწორედ ეს ოდენობა წარმოადგენს შემდგომი გამოთვლის საფუძველს, რის შედეგადაც უნდა განისაზღვროს ჯარიმის საბოლოო ოდენობა, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას (20 მილიონი ევრო).

მაგალითი 6ხ - საწყისი ოდენობის განსაზღვრა შემდგომი გამოთვლისთვის

სტარტაპმა (გაცნობის აპლიკაცია), რომლის წლიური ბრუნვაც შეადგენს 500,000 ევროს, მომხმარებელთა სენსიტიური პერსონალური მონაცემები მიჰყიდა მონაცემთა ბროკერებს, მონაცემთა ანალიტიკასთან დაკავშირებული მიზნებისთვის, რის შედეგადაც დაარღვია GDPR-ის მე-9 მუხლის და მე-5 მუხლის 1(a) პუნქტი. საზედამხედველო ორგანომ შეისწავლა საქმის გარემოებები და დაადგინა, რომ დარღვევა იყო მძიმე კატეგორიის. შემდგომი გამოთვლისთვის საწყისი ოდენობის განსაზღვრის მიზნით, საზედამხედველო ორგანომ პირველ რიგში მიუთითა, რომ GDPR-ის მე-9 და მე-5 მუხლების დარღვევებს შეიცავს 83-ე მუხლის 5(a) პუნქტში წარმოდგენილი ჩამონათვალი, ხოლო საწარმოს ბრუნვის გათვალისწინებით (500,000 ევრო), მოქმედებდა კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობა 20,000,000 ევროს ოდენობით.

დარღვევის სიმძიმის დონის გათვალისწინებით, (მძიმე დარღვევა), საწყისი ოდენობა იყო 4,000,000 ევროდან 20,000,000 ევრომდე (კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის 20-100%, იხ. პ.60 ზემოთ).

საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ გამართლებული იყო საწყისი ოდენობის შემცირება 0.25%-მდე, საწარმოს ზომისა და მისი წლიური ბრუნვის (500,000 ევრო) ოდენობის გათვალისწინებით. სწორედ ეს ოდენობა წარმოადგენს შემდგომი გამოთვლის საფუძველს, რის შედეგადაც უნდა განისაზღვროს ჯარიმის საბოლოო ოდენობა, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას (20 მილიონი ევრო).

თავი 5 - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები

5.1 - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი ფაქტორების იდენტიფიცირება

70. GDPR-ის სტრუქტურის თანახმად, დარღვევის ხასიათის, სიმძიმის და ხანგრძლივობის, შესაძლო განზრახვის ან გაუფრთხილებლობის და პერსონალურ მონაცემთა კატეგორიის შეფასების შემდეგ, საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს დარჩენილი დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორები, რომლებიც GDPR-ის 83(2) მუხლშია წარმოდგენილი.

71. ამ ელემენტების შეფასებასთან დაკავშირებით, ჯარიმის გაზრდის ან შემცირების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია ცხრილებისა თუ პროცენტული მაჩვენებლების საშუალებით. არამედ, ჯარიმის რაოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია ყველა იმ ელემენტზე, რომელიც გამოძიების შედეგად დადგინდება და დაჯარიმების კუთხით, საზედამხედველო ორგანოს წინა გამოცდილებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებაზე.

72. ბუნდოვანება რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია ითქვას, რომ GDPR-ის 83(2) მუხლით გათვალისწინებული თითოეული კრიტერიუმი - იმის მიუხედავად, თუ რომელი თავის შესაბამისად მოხდება მათი შეფასება (მე-4 თავის თუ წინამდებარე თავის) - მხოლოდ ერთხელ უნდა იქნას გათვალისწინებული GDPR-ის 83(2) მუხლის მიხედვით ზოგადი შეფასების განხორციელებისას.

5.2 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ქმედებები, მონაცემთა სუბიექტის მიერ განცდილი ზიანის შესამცირებლად

73. დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასებისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნას 83-ე მუხლის 2(c) პუნქტი, რომელიც ეხება დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა სუბიექტისთვის მიყენებული ზიანის შესამცირებლად მიღებულ ზომებს.

74. როგორც ეს WP253 სახელმძღვანელო პრინციპებშია მითითებული, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირებს ეკისრებათ ვალდებულება, „განახორციელონ ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნას რიკის შესაბამისი უსაფრთხოების დონე, განხორციელდეს მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასება და შემცირდეს ის რისკები, რომელსაც პერსონალური მონაცემების დამუშავება უქმნის ფიზიკური

პირის უფლებებს და თავისუფლებებს.“ ამავდროულად, დარღვევის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მიიღოს მაქსიმალური ზომები შესაბამისი ფიზიკურ პირ(ებ)ზე დარღვევის შედეგების გავლენის შესამსუბუქებლად.[32]

75. სათანადო ზომების მიღება მონაცემთა სუბიექტების მიერ განცდილი ზიანის შესამცირებლად, შესაძლოა, მიჩნეული იქნას შემამსუბუქებელ გარემოებად, რის საფუძველზეც ჯარიმის ოდენობა შემცირდება.

76. საჭიროა მიღებული ზომების შეფასება, განსაკუთრებით, დროულობის ელემენტთან დაკავშირებით, ე.ი., როდის მოხდა მათი განხორციელება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, და მათ ეფექტურობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, ზომები, რომელთა მიღებაც მოხდა სპონტანურად, მანამ, სანამ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობდნენ საზედამხედველო ორგანოს გამოძიების შესახებ, უფრო მეტად იქნება მიჩნეული შემამსუბუქებელ გარემოებად, ვიდრე შემდგომ მიღებული ზომები.

5.3 - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ფარგლები

77. 83(2)(d) მუხლის თანახმად, საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ფარგლების შეფასება, GDPR-ის 25-ე და 32-ე მუხლების თანახმად მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით. WP253 საზედამხედველო პრინციპების თანახმად, „შემდეგ, საზედამხედველო ორგანომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, თუ რამდენად განახორციელა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა „ის, რისი განხორციელების მოლოდინიც არსებობდა მის მიმართ“, დამუშავების ხასიათის, მიზნების ან მოცულობის გათვალისწინებით, რეგულაციის თანახმად მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად.“[33]

78. კერძოდ, ამ კრიტერიუმთან დაკავშირებით, უნდა შეფასდეს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებებისადმი არსებული ნარჩენი რისკი, ზიანი, რომელიც მიადგა მონაცემთა სუბიექტებს და ზიანი, რომელიც გაგრძელდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ზომების მიღების შემდეგ, ისევე, როგორც GDPR-ის 25-ე და 32-ე მუხლების შესაბამისად მიღებული ზომების სიმტკიცე.

[32] სახელმძღვანელო პრინციპები WP253, გვ.12.
[33] იქვე, გვ.13.

79. ამ თვალსაზრისით, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს მოცემული მონაცემები იყო თუ არა პირდაპირ იდენტიფიცირებადი და/ან ხელმისაწვდომი, ტექნიკური დაცვის გარეშე.[34] ამავდროულად, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ამგვარი დაცვის არსებობა შესაძლოა არ წარმოადგენდეს შემამსუბუქებელ ფაქტორს (იხ. პუნქტი 82 ქვემოთ), არამედ, აღნიშნული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

80. ზემოაღნიშნული ელემენტების ადეკვატურად შეფასებისთვის, საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი რელევანტური დოკუმენტაცია, რომელსაც წარმოადგენს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირი, მაგ., დაცვის უფლების განხორციელების კონტექსტში. კერძოდ, ასეთი დოკუმენტაცია შესაძლოა შეიცავდეს მტკიცებულებას, თუ რა ზომები იქნა მიღებული და როგორ მოხდა მათი განხორციელება; იყო თუ არა რაიმე ინტერაქცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირებს შორის (საჭიროების შემთხვევაში); და იყო თუ არა რაიმე კომუნიკაცია მონაცემთა დაცვის ოფიცერთან ან მონაცემთა სუბიექტებთან (საჭიროების შემთხვევაში).

81. ვინაიდან GDPR-ის საფუძველზე გაიზარდა ანგარიშვალდებულების დონე, 95/46/EC დირექტივასთან შედარებით,[35] სავარაუდოდ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის დონე დამამძიმებელ ან ნეიტრალურ ფაქტორად იქნება მიჩნეული. აღნიშნული შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეული იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მაქსიმალურად ზედმიწევნით შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

5.4 - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მანამდე ჩადენილი დარღვევები

82. მანამდე ჩადენილ დარღვევებში იგულისხმება გადაწყვეტილების გამოცემამდე დადგენილი დარღვევები. GDPR-ის მე-7 თავით გათვალისწინებული თანამშრომლობის შემთხვევაში, მანამდე ჩადენილი დარღვევები გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც გადაწყვეტილების პროექტის გამოცემამდე იქნა დადგენილი (GDPR-ის მე-60 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში).

83. GDPR-ის 83(2)(e) მუხლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მანამდე ჩადენილი ნებისმიერი

[34] იქვე, გვ.14-15.
[35] იქვე, გვ.13.

რელევანტური დარღვევა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას. მსგავს ფორმულირებას შეიცავს GDPR-ის პრეამბულის 148-ე პუნქტი.

5.4.1 წინა დარღვევის ჩადენის დრო

84. პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნას წინა დარღვევის ჩადენის დრო, ვინაიდან რაც უფრო დიდი დროა გასული მანამდე ჩადენილ დარღვევასა და მოცემულ დარღვევას შორის, რომლის გამოძიებაც მიმდინარეობს, მით უფრო ნაკლებია მანამდე ჩადენილი დარღვევის მნიშვნელობა. რაც უფრო დიდი ხნის წინ იქნა ჩადენილი წინა დარღვევა, მით ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მას საზედამხედველო ორგანომ. შეფასება საზედამხედველო ორგანოს დისკრეციის ქვეშ ხვდება და ექვემდებარება ეროვნულ და ევროპის დონეზე მოქმედ კანონებსა და პრინციპებს.

85. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ხნის წინ ჩადენილი დარღვევები, შესაძლოა, მაინც მნიშვნელოვანი იყოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობის ისტორიის (track record) შეფასებისას, ამ მიზნით არ უნდა იქნას დადგენილი ფიქსირებული პერიოდები. ამავდროულად, ზოგიერთი ეროვნული კანონის თანახმად, საზედამხედველო ორგანოებს არ აქვთ უფლებამოსილება, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ გაითვალისწინონ წინა დარღვევები. ამასთან, ზოგიერთი ეროვნული კანონი ადგენს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩანაწერების წაშლის ვალდებულებას, რაც საზედამხედველო ორგანოებს უზღუდავს ამ პრეცედენტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

86. ამავე მიზეზის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ 95/46/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით ეროვნულ დონეზე მიღებული დებულებების დარღვევებთან შედარებით, უფრო რელევანტურად უნდა იქნას მიჩნეული GDPR-ის დარღვევები, ვინაიდან ასეთი დარღვევები შედარებით ახალი დარღვევებია (თუ ეროვნულ დონეზე მოქმედი კანონების თანახმად დაშვებულია საზედამხედველო ორგანოს მიერ ამგვარი დარღვევების გათვალისწინება).

5.4.2 - მანამდე ჩადენილი დარღვევების საგანი

87. GDPR-ის 83(2)(e) მუხლის მიზნებისთვის, „რელევანტურად“ შესაძლოა ჩაითვალოს მანამდე ჩადენილი დარღვევები, რომელიც ეხება იგივე ან განსხვავებულ საკითხს.

88. მართალია მანამდე ჩადენილი ყველა დარღვევა მიუთითებს GDPR-ის დაცვასთან დაკავშირებით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ზოგად დამოკიდებულებაზე, იგივე საგანთან დაკავშირებულ დარღვევებს უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ, ვინაიდან ისინი უფრო ახლოა იმ დარღვევასთან, რომლის გამოძიებაც მიმდინარეობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს მანამდე იგივე დარღვევა აქვს ჩადენილი (განმეორებითი დარღვევები). ამრიგად, ერთსა და იმავე საგანთან დაკავშირებული დარღვევები უფრო რელევანტურად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე დარღვევები, რომლებიც სხვა თემას ეხება.

89. მაგალითად, ის ფაქტი, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა ვერ მოახდინა დროული რეაგირება მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების შესახებ მოთხოვნაზე, უფრო მეტად რელევანტურია, როდესაც მიმდინარე გამოძიება იგივე საკითხს ეხება (მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლების განხორციელების შესახებ მოთხოვნაზე რეაგირება) და ნაკლებად რელევანტურია, როდესაც მიმდინარე გამოძიება ეხება პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევას.

90. ამავდროულად, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული განსხვავებულ საგანთან დაკავშირებული წინა დარღვევები, რომლებიც იგივე ფორმით იქნა ჩადენილი, რადგან ეს დარღვევები შესაძლოა, მიუთითებდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ორგანიზაციაში არსებულ სისტემურ პრობლემებზე. მაგალითად, როდესაც დარღვევა წარმოიშვა მონაცემთა დაცვის ოფიცრის რეკომენდაციის უგულებელყოფის შედეგად.

5.4.3 - სხვა გასათვალისწინებელი საკითხები

91. როდესაც საზედამხედველო ორგანო ითვალისწინებს 95/46/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით ეროვნულ დონეზე მიღებული დებულებების წინა დარღვევებს, მან ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ დირექტივითა და GDPR-ით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაძლოა განსხვავდებოდეს (თუ ეროვნულ დონეზე მოქმედი კანონების თანახმად დაშვებულია საზედამხედველო ორგანოს მიერ ამგვარი დარღვევების გათვალისწინება).

92. მანამდე ჩადენილი დარღვევის რელევანტურობის შეფასებისას, საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა პროცედურის ფარგლებში დადგინდა წინა დარღვევა - კერძოდ, რა ზომები იქნა მიღებული საზედამხედველო ან სასამართლო ორგანოს მიერ - ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

93. წინა დარღვევების გათვალისწინება აგრეთვე შესაძლებელია, როდესაც ისინი დადგენილი იქნა განსხვავებული საზედამხედველო ორგანოს მიერ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/უფლებამოსილ იგივე პირთან მიმართებაში. მაგალითად, წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ, რომელიც განიხილავს დარღვევას თანამშრომლობის (ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი) მექანიზმის საშუალებით, GDPR-ის მე-60 მუხლის შესაბამისად, შესაძლოა გაითვალისწინოს ადგილობრივ შემთხვევებში სხვა საზედამხედველო ორგანოს მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/უფლებამოსილ იგივე პირთან მიმართებით მანამდე დადგენილი დარღვევები. მსგავსად აღნიშნულისა, წამყვანი საზედამხედველო ორგანოს მიერ მანამდე დადგენილი დარღვევები შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა ორგანომ, რომელიც განიხილავს საჩივარს ისეთ საკითხზე, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივ დონეზე აქვს გავლენა, GDPR-ის 56(2) მუხლის შესაბამისად. თუ არ არსებობს წამყვანი საზედამხედველო ორგანო (მაგ., როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი არ არის დაფუძნებული ევროკავშირში), საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, აგრეთვე გაითვალისწინოს სხვა საზედამხედველო ორგანოს მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/უფლებამოსილ იგივე პირთან მიმართებით მანამდე დადგენილი დარღვევები.

94. წინა დარღვევების არსებობა შესაძლოა, ჩაითვალოს დამამძიმებელ ფაქტორად, ჯარიმის რაოდენობის გამოანგარიშებისას. ამ ფაქტორისთვის მინიჭებული წონა განისაზღვრება წინა დარღვევების ხასიათისა და სიხშირის მიხედვით. ამავდროულად, წინა დარღვევების არარსებობის ფაქტი ვერ იქნება მიჩნეული შემამსუბუქებელ ფაქტორად, ვინაიდან GDPR-თან შესაბამისობა არის ნორმა. თუ წინა დარღვევები არ არსებობს, ეს ფაქტორი ნეიტრალურად იქნება მიჩნეული.

5.5 საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი, დარღვევის გამოსწორებისა და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგების შემცირებისთვის

95. 83(2)(f) მუხლის თანახმად, საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი, დარღვევის გამოსწორებისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების შემცირების კუთხით.

96. თანამშრომლობის დონის შეფასებამდე, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ GDPR-ის 31-ე მუხლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირებს ეკისრებათ საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ზოგადი ვალდებულება, ხოლო თანამშრომლობის ნაკლებობამ შესაძლოა, გამოიწვიოს GDPR-ის 83(4)(a) მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრება. შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს, რომ თანამშრომლობა ჩვეულებრივ

სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს და შესაბამისად, ნეიტრალურ (და არა შემამსუბუქებელ) ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული.

97. ამავდროულად, როდესაც საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის შედეგად ხდება ნეგატიური შედეგების შემცირება ან თავიდან აცილება, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული შემამსუბუქებელ ფაქტორად მიიჩნიოს, GDPR-ის 83(2)(f) მუხლის შესაბამისად, და შეამციროს ჯარიმის ოდენობა. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა „მოცემული შემთხვევის გამოძიების ეტაპზე, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების პასუხად განახორციელა ქმედებები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ფიზიკურ პირთა უფლებებზე უარყოფითი გავლენა.“[36]

5.6 რა ფორმით გახდა დარღვევა ცნობილი საზედამხედველო ორგანოსთვის

98. 83(2)(h) მუხლის თანახმად, ის თუ რა ფორმით გახდა დარღვევა ცნობილი საზედამხედველო ორგანოსთვის, შესაძლოა, რელევანტური დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორი იყოს. აღნიშნულის შეფასებისას, განსაკუთრებული წონა შეიძლება მიანიჭოს შემდეგ ფაქტს: დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა დარღვევის შესახებ შეატყობინა თუ არა საზედამხედველო ორგანოს საკუთარი ინიციატივით, მანამ, სანამ საზედამხედველო ორგანოსთვის ცნობილი გახდებოდა დარღვევის შესახებ - მაგ., საჩივრის ან გამოძიების შედეგად. აღნიშნული გარემოება არ არის რელევანტური, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ექვემდებარება შეტყობინების სპეციფიურ ვალდებულებას (მაგ., როდესაც ადგილი აქვს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევას, 33-ე მუხლის შესაბამისად).[37] ასეთ შემთხვევებში, შეტყობინება ნეიტრალურ ფაქტორად უნდა იქნას განხილული.[38]

99. თუ საზედამხედველო ორგანომ დარღვევის შესახებ შეიტყო, მაგალითად, საჩივრის ან გამოძიების შედეგად, როგორც წესი, ეს ელემენტი ნეიტრალურად უნდა იქნას მიჩნეული. თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი დარღვევის შესახებ საზედამხედველო ორგანოს საკუთარი ინიციატივით აცნობებს, მანამ, სანამ საზედამხედველო ორგანოსთვის ცნობილი გახდება საქმის შესახებ, აღნიშნული შესაძლებელია, ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად.

---

[36] სახელმძღვანელო პრინციპები WP253, გვ.14.

[37] ხაზგასმით უნდა ითქვას,რომ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევა ავტომატურად არ ნიშნავს GDPR-ის დარღვევას.

[38] აღნიშნული ხაზგასმულია სახელმძღვანელო პრინციპებში WP253, გვ. 15.

5.7 ამავე საკითხთან დაკავშირებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ გამოყენებულ ზომებთან შესაბამისობა

100. GDPR-ის 83(2)(i) მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ან მისი ოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოება: „იქნა თუ არა გამოყენებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ მსგავს საკითხზე 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება, მასთან შესაბამისობა.“

101. 83(2)(e) მუხლისგან განსხვავებით, ეს შეფასება ეხება მხოლოდ იმ ზომებს, რომლებიც საზედამხედველო ორგანომ გამოიყენა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი იგივე პირის მიმართ, იმავე საკითხთან (საგანთან) დაკავშირებით.[39]

102. ამ თვალსაზრისით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შესაძლოა, ჰქონდეს გონივრული მოლოდინი, რომ მათ მიმართ გამოყენებულ ზომებთან შესაბამისობა სამომავლოდ აღარ გამოიწვევს იმავე საკითხთან დაკავშირებულ დარღვევას. ამავდროულად, ვინაიდან მანამდე გამოყენებულ ზომებთან შესაბამისობა სავალდებულოა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის, აღნიშნული, როგორც ასეთი, შემამსუბუქებელ ფაქტორად არ უნდა იქნას მიჩნეული. პირიქით, იმისათვის, რომ მანამდე გამოყენებულ ზომებთან შესაბამისობის ფაქტორი შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან აუცილებელია ამ ზომების შესრულებისას განსაკუთრებული პასუხისმგებლობის დემონსტრირება, მაგ., დამატებითი ზომების მიღება იმ ზომებთან ერთად, რომელთა მიღებაც საზედამხედველო ორგანომ მათ დაავალა.

103. მეორე მხრივ, საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოყენებულ ზომებთან შეუსაბამობა, შესაძლოა, განხილული იქნას, როგორც დამამძიმებელი ფაქტორი ან ცალკე დარღვევა, GDPR-ის 83(5)(e) და 83(6) მუხლების შესაბამისად. ამრიგად, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე ზომებთან შეუსაბამობისთვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს სასჯელი ორჯერ არ უნდა დაეკისროს.

[39] იქვე.

5.8 ქცევის დამტკიცებულ კოდექსებთან ან სერტიფიცირების დამტკიცებულ მექანიზმებთან შესაბამისობა

104. GDPR-ის 83(2)(j) მუხლის მიხედვით, რელევანტურ ფაქტორს შესაძლოა, წარმოადგენდეს ქცევის კოდექსებთან შესაბამისობა, GDPR-ის მე-40 მუხლის თანახმად, ან სერტიფიცირების დამტკიცებულ მექანიზმებთან შესაბამისობა, GDPR-ის 42-ე მუხლის თანახმად.

105. როგორც WP253 სახელმძღვანელო მითითებებშია აღნიშნული, ქცევის კოდექსებთან შესაბამისობა, GDPR-ის მე-40 მუხლის თანახმად, ან სერტიფიცირების დამტკიცებულ მექანიზმებთან შესაბამისობა, GDPR-ის 42-ე მუხლის თანახმად ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა წარმოადგენდეს შემამსუბუქებელ ფაქტორს. GDPR-ის 40(4) მუხლის მიხედვით, დამტკიცებული ქცევის კოდექსები შეიცავენ „მექანიზმებს, რომელიც (მონიტორინგის განმახორციელებელ) უწყებას საშუალებას მისცემს, განახორციელოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ქმედებების დებულებებთან შესაბამისობის სავალდებულო მონიტორინგი. შეუსაბამო ქცევაზე სანქციის დაწესების გარკვეული ფორმები შესაძლოა მონიტორინგის სქემით იყოს გათვალისწინებული, GDPR-ის 41(4) მუხლის შესაბამისად, მათ შორის, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გამორიცხვა კოდექსის თემიდან. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს თვითრეგულირების სქემასთან დაკავშირებით მანამდე დაწესებული სანქციები, თუმცა, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებები, 41(4) მუხლის თანახმად, „არ აკნინებს შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებს და უფლებამოსილებებს“, რაც ნიშნავს იმას, რომ საზედამხედველო ორგანო არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე სანქცია.[40]

106. მეორე მხრივ, თუ ქცევის კოდექსებთან ან სერტიფიცირების მექანიზმებთან შეუსაბამობა პირდაპირ კავშირშია დარღვევასთან, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული გაითვალისწინოს, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

5.9 სხვა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები

107. GDPR-ის 83(2)(k) მუხლის თანახმად, საზედამხედველო ორგანოს შეუძლია, გაითვალისწინოს ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორები, რომლებიც საქმის გარემოებებთან კავშირშია. ინდივიდუალურ

[40] იქვე.

შემთხვევაში, შესაძლოა, მოქმედებდეს ბევრი ელემენტი, რომელთა კოდიფიცირებაც ან ჩამოთვლაც შეუძლებელია და რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას, რათა გამოყენებული სანქცია იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში.

108. GDPR-ის 83(2)(k) მუხლი მიუთითებს „საქმის გარემოებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ ფაქტორზე“, როგორიცაა, დარღვევის შედეგად პირდაპირი ან არაპირდაპირ მიღებული ფინანსური მოგება ან ზიანი. მიჩნეულია, რომ აღნიშნულ დებულებას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა ჯარიმის კონკრეტულ შემთხვევაზე მორგების კუთხით. ამ თვალსაზრისით, მიჩნეულია, რომ იგი ინტერპრეტირებული უნდა იქნას, როგორც სამართლიანობის და მართლმსაჯულების პრინციპის მაგალითი, რომლის გამოყენებაც ხდება თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში.

109. ამ დებულების ფარგლები (რომელიც არ არის შეზღუდული) უნდა მოიცავდეს იმ სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ და საბაზრო კონტექსტებთან დაკავშირებული ყველა საკითხის გათვალისწინებას გონივრულობის ფარგლებში, სადაც საქმიანობენ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები.[41]

110. კერძოდ, დარღვევის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი შესაძლოა, დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალოს, თუ საქმეში წარმოდგენილია ინფორმაცია [ორგანიზაციის მიერ] GDPR-ის დარღვევის შედეგად მიღებული მოგების შესახებ.

111. GDPR-ის 83(2)(k) მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, შესაძლებელია ისეთი გამონაკლისი ვითარების გათვალისწინება, რომელიც სავარაუდოდ გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში (მაგ., პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის დასაწყისი, რამაც შესაძლებელია, რადიკალურად შეცვალოს პერსონალური მონაცემების დამუშავება).

შენიშვნა: წინამდებარე თავში წარმოდგენილი მაგალითები ასახავს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გავლენას ჯარიმაზე. ამ თეორიულ მაგალითებში აღწერილი ჯარიმების გაზრდა ან შემცირება არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც პრეცედენტები ან იმ პროცენტულ მაჩვენებლებზე მითითება, რომელიც რეალურ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული.

[41] EDPB-ს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 3/2022, რომელიც ეხება Irish SA-ს მიერ წარდგენილ საჩივარს Meta Platforms Ireland Limited-ისა და მისი Facebook მომსახურების შესახებ (GDPR-ის 65-ე მუხლი) (შემდგომში, EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 3/2022), პუნქტი 368.

მაგალითი 7a - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება

სპორტულმა კლუბმა შესასვლელში დაამონტაჟა კამერები, სახის ამოცნობის ტექნოლოგიით, რათა მოეხდინა შესვლისას კლიენტების იდენტიფიცირება. ვინაიდან აღნიშნული GDPR-ის მე-9 მუხლს არღვევს (ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე), საზედამხედველო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ჯარიმის დაკისრების თაობაზე. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ ჩათვალა, რომ აღნიშნული დარღვევა განეკუთვნებოდა მძიმე კატეგორიის დარღვევებს, ხოლო ვინაიდან სპორტული კლუბის ყოველწლიური ბრუნვა იყო 150 მილიონი ევრო, საწყისი ოდენობა განისაზღვრა 2,000,000 ევროთი (კატეგორიის შესაბამისი ყველაზე მაღალი ოდენობა).

ამავდროულად, იგივე სპორტულ კლუბს ორი წლის წინ დაეკისრა ჯარიმა, ვინაიდან ისინი სხვა შესასვლელთან იყენებდნენ თითის ანაბეჭდის წამკითხველ ტექნოლოგიას. საზედამხედველო ორგანომ გადაწყვიტა, მხედველობაში მიეღო განმეორებითი დარღვევის ფაქტი (GDPR-ის 83(2)(e) მუხლი). შესაბამისად, მან გარკვეული წონა მიანიჭა იმას, რომ დარღვევა არსებითად იგივე საკითხს ეხებოდა, ხოლო წინა დარღვევა ორი წლის წინ იყო ჩადენილი. ამ დამამძიმებელი ფაქტორის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ გადაწყვიტა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმა გაეზარდა 2,600,000 ევრომდე[42], რაც არ აჭარბებდა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას (20 მილიონი ევრო).

შენიშვნა: წინამდებარე თავში წარმოდგენილი მაგალითები ასახავს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გავლენას ჯარიმაზე. ამ თეორიულ მაგალითებში აღწერილი ჯარიმების გაზრდა ან შემცირება არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც პრეცედენტები ან იმ პროცენტულ მაჩვენებლებზე მითითება, რომელიც რეალურ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული.

მაგალითი 7b - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება

[42] აღნიშნული ადასტურებს, რომ საწყისი ოდენობების კუთხით განსაზღვრული კატეგორიები არ ზღუდავს საზედამხედველო ორგანოს შესაძლებლობას, გაითვალისწინოს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები და შესაბამისად გაზარდოს ან შეამციროს თანხა. როგორც 4.3 მუხლში იქნა აღნიშნული, ეს ციფრები წარმოადგენს საწყის ოდენობებს, რომლებსაც დაეფუძნება შემდგომი გამოთვლები და ისინი არ წარმოადგენს GDPR-ის დებულებების დარღვევისთვის გათვალისწინებულ ფიქსირებულ ოდენობებს. საზედამხედველო ორგანო ინარჩუნებს დისკრეციას, გამოიყენოს ჯარიმების სრული სპექტრი და აირჩიოს ნებისმიერი თანხა 0 ევროდან ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობამდე. შედეგად, ჯარიმა იქნება მორგებული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე.

მანქანის მოკლევადიანი გაქირავების პლატფორმაზე ადგილი ჰქონდა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რის შედეგადაც დროის მოკლე მონაკვეთში კლიენტთა პერსონალური მონაცემები იყო დაუცველი. საქმის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, GDPR-ის 32-ე მუხლის დარღვევა, რაც განაპირობა პლატფორმის ოპერატორის მიერ უსაფრთხოების ზომების მიუღებლობამ, განეკუთვნებოდა მსუბუქი კატეგორიის დარღვევას. ვინაიდან პლატფორმის ოპერატორის წლიური ბრუნვა იყო 255 მილიონი ევრო, ჯარიმის საწყის ოდენობად განისაზღვრა 260,000 ევრო.

პერსონალური მონაცემები, რომელთა უსაფრთხოებაც დაირღვა, მოიცავდა მართვის მოწმობების და პირადობის მოწმობის ასლებს. შესაბამისად ყველა იმ კლიენტს, რომელთა მონაცემების უსაფრთხოებაც დაირღვა, მოუწია ამ დოკუმენტების ხელახლა აღება, პერსონალურ მონაცემთა მითვისების (identity theft) თავიდან ასაცილებლად. ოპერატორმა მონაცემთა სუბიექტებს შეატყობინა ინციდენტის შესახებ და შესთავაზა დახმარება აღნიშნული დოკუმენტების ხელახლა აღების კუთხით. კერძოდ, ოპერატორმა შექმნა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ახალი მოწმობის საფასურის ანაზღაურებას. საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმედებები „ამცირებდა მონაცემთა სუბიექტების მიერ განცდილ ზიანს (GDPR-ის 83(2)(c) მუხლი), რასაც შემამსუბუქებელი გავლენა ჰქონდა ჯარიმაზე. ოპერატორის პროაქტიული დამოკიდებულებისა და მიღებული ზომების ეფექტურობის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ჯარიმის 225,000 ევრომდე შემცირების შესახებ[43], რაც არ აღემატებოდა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას (10 მილიონი ევრო).

შენიშვნა: წინამდებარე თავში წარმოდგენილი მაგალითები ასახავს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გავლენას ჯარიმაზე. ამ თეორიულ მაგალითებში აღწერილი ჯარიმების გაზრდა ან შემცირება არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც პრეცედენტები ან იმ პროცენტულ მაჩვენებლებზე მითითება, რომელიც რეალურ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული.

მაგალითი 7c - დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება

მცირე ზომის საკრედიტო საინფორმაციო ბიურომ დაარღვია რამდენიმე დებულება, რომელიც იცავს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან კლიენტებს მოსთხოვა გარკვეული თანხის

[43] გთხოვთ, იხილოთ წინა შენიშვნა.

გადახდა, წვდომის უფლების განხორციელებისთვის. ბიურომ საფასური მოითხოვა წვდომის ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით და არა მხოლოდ იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელსაც GDPR-ის 12(5)(a) პუნქტი ითვალისწინებს. საქმის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ დარღვევა იყო მძიმე კატეგორიის, ხოლო ბიუროს წლიური ბრუნვის (35 მილიონი ევრო) გათვალისწინებით, ჯარიმის საწყის ოდენობად განისაზღვრა 100,000 ევრო.

ამავდროულად, საზედამხედველო ორგანომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ბიურომ დარღვევის შედეგად გარკვეული შემოსავლის მიღება შეძლო, რაც GDPR-ის 83(2)(k) მუხლის თანახმად, დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს. დარღვევის შედეგად მიღებული სარგებლის დასაბალანსებლად და ამავდროულად, ჯარიმის ეფექტურობის, შემაკავებელი ძალისა და პროპორციულობის უზრუნველყოფისთვის, საზედამხედველო ორგანომ გადაწყვიტა, ჯარიმა გაეზარდა 130,000 ევრომდე, რაც არ აღემატებოდა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას (20 მილიონი ევრო).

შენიშვნა: წინამდებარე თავში წარმოდგენილი მაგალითები ასახავს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გავლენას ჯარიმაზე. ამ თეორიულ მაგალითებში აღწერილი ჯარიმების გაზრდა ან შემცირება არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც პრეცედენტები ან იმ პროცენტულ მაჩვენებლებზე მითითება, რომელიც რეალურ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული.

მაგალითი 7d- დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება

კომპანიამ დაარღვია GDPR-ის დებულებები, კერძოდ, მან პერსონალური მონაცემების შემცველი ბაზა კომერციული სარგებლის მისაღებად მიჰყიდა პარტნიორებს, ისე, რომ მონაცემთა სუბიექტებს აღნიშნულზე თანხმობა არ გაუციათ.

საქმის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ დარღვევა იყო საშუალო სიმძიმის. ვინაიდან კომპანიის წლიური ბრუნვა იყო 45 მილიონი ევრო, ჯარიმის საწყის ოდენობად განისაზღვრა 150,000 ევრო.

ამას გარდა, საზედამხედველო ორგანო თვლიდა, რომ დარღვევამ ფინანსური სარგებელი მოუტანა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს. კერძოდ, მან მიზნობრივი რეკლამისთვის მესამე მხარეს მიჰყიდა დიდი ოდენობით მონაცემები, ისე, რომ მონაცემთა სუბიექტებისგან არ მიუღია შესაბამისი

თანხმობა. საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ ფინანსური სარგებელის მიღება დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა (GDPR-ის 83(2)(k) მუხლი).

დარღვევის შედეგად მიღებული სარგებელის დასაბალანსებლად და ამავდროულად, ჯარიმის ეფექტურობის, შემაკავებელი ძალისა და პროპორციულობის უზრუნველყოფისთვის, საზედამხედველო ორგანომ გადაწყვიტა, ჯარიმა გაეზარდა 200,000 ევრომდე, რაც არ აღემატებოდა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას (20 მილიონი ევრო).

თავი 6 - კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობა და კორპორაციული პასუხისმგებლობა

6.1 კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა

112. როგორც WP253 სახელმძღვანელო პრინციპებშია მითითებული, GDPR არ ითვალისწინებს ჯარიმის ფიქსირებულ ოდენობებს კონკრეტული დარღვევებისთვის. ნაცვლად ამისა, GDPR ადგენს ჯარიმის ზოგად მაქსიმალურ ოდენობებს,[44] რაც შესაბამისობაშია სანქციების შესახებ ევროკავშირის სამართლის ზოგად ტრადიციასთან, რომელიც სხვა სამართლებრივ აქტებშია დადგენილი[45].

113. GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტებით გათვალისწინებული ოდენობები წარმოადგენს მაქსიმუმს, ხოლო საზედამხედველო ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი ჯარიმების დაწესება, რომელიც აჭარბებს შესაბამის მაქსიმალურ ოდენობებს. მაქსიმალური ოდენობის სწორად განსაზღვრისთვის, საჭიროა 83(3) მუხლის გათვალისწინება[46] (იხ. თავი 3.1.2). თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე ჯარიმის გამოანგარიშებისას, არ გადააჭარბოს დადგენილ მაქსიმალურ ოდენობებს. ინდივიდუალური საქმის მიხედვით, შესაძლოა, მოქმედებდეს სხვადასხვა მაქსიმალური ოდენობები.

---

[44] GDPR-ის პრეამბულის 150-ე პუნქტი, მეორე წინადადება: „რეგულაციით უნდა მიეთითოს დარღვევები, ადმინისტრაციული ჯარიმების ზედა ზღვარი და ჯარიმის შეფარდების კრიტერიუმები. თითოეულ შემთხვევაში კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გარემოებები, დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა, ასევე შედეგები და ამ რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და დარღვევით გამოწვეული შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამსუბუქებლად მიღებული ზომები.“

[45] კერძოდ, ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებში წარმოდგენილი კონკურენციის შესახებ წესების განხორციელების თაობაზე (EC) No. 1/2003 რეგულაციის 23(2) მუხლი, 2002 წლის 16 დეკემბერი.

[46] გთხოვთ, ასევე, იხ. EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პუნქტი 326.

6.1.1 ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობები

114. GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტები ითვალისწინებს ფიქსირებულ მაქსიმალურ ოდენობებს და ერთმანეთისგან განარჩევს GDPR-ით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის სხვადასხვა კატეგორიას. როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, 83-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს 10 მილიონ ევრომდე ჯარიმებს მასში აღწერილი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხოლო 83-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ითვალისწინებს 20 მილიონ ევრომდე ჯარიმებს, მათში აღწერილი ვალდებულებების დარღვევისთვის.

6.1.2 დინამიკური მაქსიმალური ოდენობები

115. საწარმოს შემთხვევაში,[47] რაც უფრო მაღალია საწარმოს ბრუნვა, მით უფრო იზრდება მაქსიმალური ჯარიმის ოდენობა. ბრუნვაზე დაფუძნებული მაქსიმალური ოდენობა[48] არის დინამიკური და ინდივიდუალიზებული, რათა ჯარიმა იყოს იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე.

116. უფრო კონკრეტულად, GDPR-ის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტი მაქსიმალური ოდენობის სახით ითვალისწინებს საწარმოს გასული ფინანსური წლის ბრუნვის 2%-ს, ხოლო 83-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები კი 4%-ს ითვალისწინებენ. GDPR-ის ფორმულირების თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნას ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობა ან დინამიკური, საწარმოს ბრუნვაზე დაფუძნებული მაქსიმალური ოდენობა (გამოიყენება ის სანქცია, რომელიც უფრო მაღალია). შესაბამისად, ბრუნვაზე დაფუძნებული მაქსიმალური ოდენობა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აჭარბებს ინდივიდუალურ შემთხვევაში მოქმედ ფიქსირებულ მაქსიმალურ ოდენობას. ასე ხდება მაშინ, როდესაც გასულ ფინანსურ წელში საწარმოს ჯამური წლიური ბრუნვა აღემატება 500 მილიონ ევროს[49].

მაგალითი 8a - დინამიკური მაქსიმალური ოდენობა

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო აგროვებს ინფორმაციას ევროკავშირის ყველა მოქალაქის კრედიტუნარიანობის შესახებ და ამ ინფორმაციას ყიდის სარეკლამო და სავაჭრო კომპანიებზე, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ბიუროს ბრუნვამ გასულ წელს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შეადგინა 3 მილიარდი ევრო. ამ

[47] ტერმინ „საწარმოსთან“ დაკავშირებით, იხ. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების 6.2.1 თავი

[48] ტერმინ „ბრუნვასთან“ დაკავშირებით, იხ. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების 6.2.2 თავი.

[49] 500 მილიონის 2% არის 10 მილიონი (GDPR-ის 83(4) მუხლით გათვალისწინებული ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობა), ხოლო 500 მილიონის 4% არის 20 მილიონი (GDPR-ის 83(5) მუხლით გათვალისწინებული ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობა).

შემთხვევაში, ბიურომ დაარღვია, inter alia, რეგულაციის მე-6 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას 83(5) მუხლის მიხედვით. ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობა არის 20 მილიონი ევრო. დინამიკური მაქსიმალური ოდენობა კი შეადგენს 120 მილიონ ევროს (3 მილიარდი ევროს 4%). ჯარიმამ შესაძლოა შეადგინოს 120 მილიონი ევრო, რადგან დინამიკური მაქსიმუმი ფიქსირებულ მაქსიმუმზე მაღალია. შედეგად, დაშვებულია, რომ ჯარიმა აჭარბებდეს ფიქსირებულ ოდენობას (20 მილიონი ევრო), თუმცა, არ უნდა აჭარბებდეს კანონით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას (120 მილიონი ევრო).

მაგალითი 8b - ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობა

სათვალეებით მოვაჭრე კომპანიას აქვს ონლაინ მაღაზია, სადაც მომხმარებლებს შეკვეთის განთავსება შეუძლიათ. შეკვეთის ფორმის საშუალებით, კომპანია, აგრეთვე, ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, საბანკო ანგარიშის შესახებ ინფორმაციას. კომპანიამ ვერ უზრუნველყო ვებბრაუზერსა და ვებსაიტს შორის მონაცემთა უსაფრთხო გადაცემის პროტოკოლი (https), რამაც შექმნა ტრანზაქციის განხორციელების დროს, მესამე მხარეების მიერ პერსონალური მონაცემების ხელში ჩაგდების რისკები. კომპანიამ დაარღვია რეგულაციის 32(1) მუხლი და იგი ექვემდებარება 83(4) მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას. კომპანიის წლიური ბრუნვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეადგენს 450 მილიონ ევროს. ამ შემთხვევაში, ჯარიმის ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობაა 10 მილიონი ევრო, რაც აღემატება დინამიკურ მაქსიმალურ ოდენობას (9 მილიონი ევრო - 450 მილიონი ევროს 2%). აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოყენებული უნდა იქნას ფიქსირებული მაქსიმუმი, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 10 მილიონ ევროს.

მაგალითი 8c - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ საწარმოს

მუნიციპალიტეტს აქვს ონლაინ სისტემა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, ონლაინ დაჯავშნონ ვიზიტები, მაგალითად, პასპორტის ან ქორწინების ლიცენზიის მისაღებად. ამ ონლაინ სისტემისთვის, მუნიციპალიტეტი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი პირია. სამწუხაროდ, დადგინდა, რომ სისტემა შეგროვებულ მონაცემებს მუდმივ რეჟიმში გადასცემს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის გარე სერვერებს, რომელიც მესამე ქვეყანაში მდებარეობს. ამ სერვერებზე ხდება ამ მონაცემების შენახვა. აღნიშნულ

მესამე ქვეყანაში არ მოქმედებს დაცვის ადეკვატური საშუალებები, მონაცემების მესამე ქვეყნისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. გადაცემას თუ არ ჩავთვლით, მონაცემების შეგროვება და დამუშავება ხდება ლეგიტიმური (ნამდვილი) თანხმობის საფუძველზე. მუნიციპალიტეტმა დაარღვია რეგულაციის 44-ე მუხლი, ვინაიდან იგი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს უგზავნის მესამე ქვეყანას, სადაც არ მოქმედებს სათანადო დაცვის საშუალებები. ამრიგად, მუნიციპალიტეტი ექვემდებარება 83(5) მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას. ვინაიდან მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს საწარმოს, მოქმედებს ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯარიმა არ უნდა აჭარბებდეს 20 მილიონ ევროს. ამავდროულად, აღნიშნული პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წევრ სახელმწიფოს, სადაც მუნიციპალიტეტი მდებარეობს, არ დაუდგენია სპეციფიური წესები წევრ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებებისა და უწყებებისთვის ჯარიმის დაკისრებასთან და ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებით (GDPR-ის მუხლი 83(7)).

6.2 საწარმოს ბრუნვისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა

117. დინამიკური მაქსიმალური ოდენობის დადგენისთვის, საწარმოს ბრუნვის სწორად განსაზღვრა საჭიროებს GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტებით დადგენილი კონცეფციების გათვალისწინებას. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს GDPR-ის პრეამბულის დებულებებს, რომელიც რეგულაციის ინტერპრეტაციისთვის არის უზრუნველყოფილი ევროპელი კანონმდებლის მიერ.

6.2.1 საწარმოს და კორპორაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა

118. ტერმინ „საწარმოსთან“ დაკავშირებით, ევროპელი კანონმდებელი მკაფიო განსაზღვრებას უზრუნველყოფს. GDPR-ის პრეამბულის 150-ე პუნქტის თანახმად „საწარმოსთვის ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, „საწარმო“ განიმარტება TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად.“

119. ამრიგად, GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტები, პრეამბულის 150-ე პუნქტის გათვალისწინებით, ეყრდნობა საწარმოს იმ განსაზღვრებას, რომელსაც შეიცავს TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლები[50]. ამავდროულად, აღნიშნული არ აკნინებს GDPR-ის 4(18) მუხლს (სადაც წარმოდგენილია საწარმოს განმარტება) და GDPR-ის 4(19) მუხლს (რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა ჯგუფს). ეს უკანასკნელი კონცეფცია

[50] განმარტებულია სახელმძღვანელო პრინციპებში WP253 და მოგვიანებით დადასტურებულია EDPB-ის მიერ, 2018 წლის 25 მაისით დათარიღებულ მხარდაჭერის დოკუმენტში 1/2018. ასევე, იხ. EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პ.292 და საქმე Regional Court LG Bonn, 29 Owi 1/20, 2020 წლის 11 ნოემბერი, პ. 92.

ძირითადად GDPR-ის V თავში გამოიყენება, ფრაზაში „საწარმოთა ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას“. ამას გარდა, ტერმინი გამოიყენება არა მხოლოდ რომელიმე დებულების ან ვალდებულების ჭრილში, არამედ ზოგადი მნიშვნელობითაც.

120. შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი არის საწარმო ან მისი შემადგენელი ნაწილი, TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლებით გათვალისწინებული მნიშვნელობის ფარგლებში, ამგვარი საწარმოს მთლიანი ბრუნვა შესაძლებელია გამოყენებული იქნას ჯარიმის დინამიკური ზედა ზღვარის დადგენისთვის (იხ. თავი 6.2.2) და იმისათვის, რომ ჯარიმა იყოს ეფექტურობის, პროპორციულობის და შემაკავებელი ძალის პრინციპებთან შესაბამისობაში (GDPR-ის 83(1) მუხლი).[51]

121. CJEU-მ ჩამოაყალიბა მოცულობითი პრეცედენტული სამართალი საწარმოს კონცეფციის შესახებ. ტერმინი „საწარმო“ „მოიცავს ყველა იმ დაწესებულებას, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, მიუხედავად დაწესებულების სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“[52] შესაბამისად, კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის, „საწარმოები“ ასოცირდება ეკონომიკურ ერთეულებთან და არა სამართლებრივ ერთეულებთან. სხვადასხვა კომპანია, რომლებიც ერთსა და იმავე ჯგუფს განეკუთვნებიან, შესაძლოა, ქმნიდნენ ეკონომიკურ ერთეულს და შესაბამისად, საწარმოს, TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლების მნიშვნელობის ფარგლებში.[53]

122. CJEU-ს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ტერმინი „საწარმო“, რომელიც წარმოდგენილია TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლებში, შესაძლოა, მიუთითებდეს ერთიან ეკონომიკურ ერთეულზე (SEU), მაშინაც კი თუ ეკონომიკური ერთეული შედგება რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისგან. ის, თუ რამდენად ქმნის რამდენიმე ერთეული ერთიან ეკონომიკურ ერთეულს დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დამოუკიდებელია ინდივიდუალური ერთეული გადაწყვეტილებების მიღებაში ან რამდენად აქვს წამყვან ერთეულს, კერძოდ, „მშობელ კომპანიას“ გადამწყვეტი გავლენა სხვა ერთეულებზე.[54]

---

[51] იხ. EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პუნქტები 412 და 423. ასევე, იხ. საქმე C-286/13 P, Dole food and Dole Fresh Fruit Europe v. European Commission, პუნქტი 149 და C-189/02 P, Dansk Rorindustri and Others v. Commission, პ.258.

[52] საქმე C-41/90, Klaus Höfner and Fritz Elser v. Macrotron GmbH, პ.21. ასევე, იხ., მაგალითად, გაერთიანებული საქმეები C- 159 და 160/91, Poucetand Pistre v.Assurances Généralesde France, პ.17; საქმე C-364/92, SATFluggesellschaft mbH v. Eurocontrol, პ.18; გაერთიანებული საქმეები C-180 – 184/98, Pavlov and Others, პ. 74; და საქმე C-138/11, Compass-Datenbank GmbH v. Republik Osterreich, პ.35.

[53] საქმე C-516/15P, Akzo Nobel and Others v Commission, პ.48.

[54] რომ დავაზუსტოთ, „გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა“, რომლის შეფასებაც ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, ახორციელებს თუ არა მშობელი კომპანია გადამწყვეტ გავლენას ჯგუფში არსებულ სხვა კომპანიებზე, უკავშირდება შვილობილი კომპანიის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას „ბაზარზე“მოქმედების კუთხით და აბსოლუტურად განსხვავდება გავლენისგან, რომელიც მშობელ კომპანიას აქვს (ან არ აქვს) დამუშავებაზე და კერძოდ, დამუშავების

აღნიშნულის დასადგენად გამოიყენება კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ კავშირებს მშობელ კომპანიასა და შვილობილ კომპანიას შორის, მაგ., საკუთრების წილი, საკადრო და ორგანიზაციული კავშირები, დირექტივები და კომპანიებს შორის ხელშეკრულებების არსებობა.[55]

123. SEU დოქტრინის შესაბამისად, GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტები ეფუძნება პირდაპირი კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის თანახმადაც საწარმოს სახელით მოქმედი ფიზიკური პირების ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა მიეწერება საწარმოს და მიჩნეულია ქმედებად ან დარღვევად, რომელიც პირდაპირ საწარმომ ჩაიდინა.[56] ის ფაქტი, რომ გარკვეული თანამშრომლები არ ასრულებენ ქცევის კოდექსს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ [ქმედება ან უმოქმედობა საწარმოს] არ მიეწეროს.[57] [ქმედება ან უმოქმედობა საწარმოს] არ მიეწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი იქცევა მხოლოდ საკუთარი, კერძო მიზნებიდან გამომდინარე ან მესამე მხარის მიზნებისთვის, შესაბამისად, იგი ხდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ცალკე პირი (ე.ი., ფიზიკური პირი მოქმედებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ).[58] ევროკავშირის სამართალში დადგენილი კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპი და ფარგლები უპირატესია და იგი არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ გარკვეული თანამდებობების მიმართ (მაგ., მაღალი რგოლის ხელმძღვანელი პირები) გამოყენებით, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით. არ არის მნიშვნელოვანი, თუ რომელი ფიზიკური პირი მოქმედებდა რომელი ერთეულის სახელით. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს და ეროვნულმა სასამართლოებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ, რომ გამოძიების

„მიზნების და საშუალებების“ შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე. ამგვარი საკითხები ფასდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობის განსაზღვრის პროცესში და არ არის რელევანტური ერთიანი ეკონომიკური ერთეულის დადგენის მიზნით გადამწყვეტი გავლენის შესაფასებლად.

[55] იხ. საქმე C-90/09 P, General Quimica and Others v Commission. აღნიშნულის დასადგენად ძირითადი კრიტერიუმია „გადამწყვეტი გავლენა“, რომელიც გაგებული უნდა იქნას ფაქტობრივი მტკიცებულების საფუძველზე (ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი კავშირები). ამას გარდა, არსებობს გავლენის უდავო პრეზუმფცია (rebuttable presumption of influence) იმ შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებით, რომლის აქციების 100%-ს ფლობს მშობელი კომპანია (wholly owned subsidiary). იხ. საქმე C-97/08 P, Akzo Nobel and Others v Commission და გაერთიანებული საქმეები C-293/13 და 294/13 P, Fresh Del Monte.

[56] იხ. გაერთიანებული საქმეები: C-100 to 103/80, SA Musique Diffusion francaise and others v Commission, პუნქტი 97, და საქმე C-338/00 P, Volkswagen v Commission, პუნქტები 93-98.

[57] საქმე C-501/11 P, Schindler Holding and Others v Commission, პუნქტი 114; კორპორაციების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის მართვის სისტემა არ წარმოადგენდეს უბრალოდ „ქაღალდის ფარს“, არამედ, რეალურად იყოს ეფექტური პრაქტიკაში.

[58] კერძოდ, იხ. სახელმძღვანელო პრინციპები 07/2020 GDPR-ში დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის კონცეფციების შესახებ (შემდგომში, „EDPB სახელმძღვანელო პრინციპები 07/2020“), პუნქტი 19.

ფარგლებში ან ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებაში განსაზღვრონ ფიზიკური პირი ან მოახდინონ მისი იდენტიფიცირება.[59]

124. ისეთ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც მშობელი კომპანია ფლობს წილების 100%-ს (ან თითქმის 100%-ს) შვილობილ კომპანიაში, რომელმაც დაარღვია GDPR-ის 83-ე მუხლი და შესაბამისად, შეუძლია გადამწყვეტი გავლენა იქონიოს შვილობილი კომპანიის ქმედებაზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მშობელი კომპანია, ფაქტობრივად, ახორციელებს გადამწყვეტ გავლენას შვილობილი კომპანიის ქმედებაზე (ე.წ. „აკზოს“ პრეზუმფცია)[60]. ეს პრეზუმფცია მოქმედებს მაშინაც, თუ მშობელი კომპანია მთლიან კაპიტალში წილებს ფლობს არა პირდაპირ, არამედ ირიბად, ერთი ან რამდენიმე შვილობილი კომპანიის მეშვეობით.[61] მაგალითად, შესაძლოა, არსებობდეს შვილობილი კომპანიების ჯაჭვი, სადაც ერთი დაწესებულება ფლობს იმ შუალედური დაწესებულების წილების 100%-ს ან თითქმის 100%-ს, რომელიც ფლობს სხვა დაწესებულების წილების 100%-ს ან თითქმის 100%-ს, და ასე შემდეგ. ამას გარდა, მშობელი კომპანია შესაძლოა, ფლობდეს ორი დაწესებულების წილების 100%-ს ან თითქმის 100%-ს, რომელთაგან თითოეული ფლობს სხვა დაწესებულების წილების 50%-ს. შესაბამისად, მშობელ კომპანიას ყველა მათგანზე აქვს გადამწყვეტი გავლენა. ასეთ გარემოებებში, საკმარისია, საზედამხედველო ორგანომ დაადასტუროს, რომ შვილობილ კომპანიას პირდაპირ ან ირიბად, მთლიანად ან თითქმის მთლიანად ფლობს მშობელი კომპანია, რათა მოქმედებდეს პრეზუმფცია - პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით - რომ მშობელი კომპანია ახორციელებს გადამწყვეტ გავლენას.

125. ამავდროულად, „აკზოს“ პრეზუმფცია არ არის აბსოლუტური, არამედ, შესაძლებელია მისი გაქარწყლება სხვა მტკიცებულებით.[62] ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისთვის, კომპანიამ (კომპანიებმა) უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება შვილობილ კომპანიასა და მის მშობელ კომპანიას შორის ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი კავშირების კუთხით, რომელიც დაადასტურებს, რომ ისინი არ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ ერთეულს, მიუხედავად იმისა, რომ მშობელი კომპანია ფლობს წილების 100%-ს ან თითქმის 100%-ს. იმისათვის რომ დადგინდეს, მოქმედებს თუ არა შვილობილი კომპანია ავტონომიურად, გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა რელევანტური ფაქტორი, რომელიც შვილობილი კომპანიის მშობელ კომპანიასთან კავშირებს ეხება, ხოლო ეს ფაქტორები განსხვავდება ინდივიდუალური შემთხვევების

[59] საქმე C-338, Volkswagen v Commission, პუნქტები 97 და 98; ნებისმიერი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც აღნიშნულს ეწინააღმდეგება, GDPR-თან და ეფექტურობის პრინციპთან შეუსაბამობა და ამდენად, არ უნდა იქნას გამოყენებული.

[60] საქმე C-97/08 P, Akzo Nobel and Others v Commission, პუნქტები 59 და 60.

[61] საქმეები T-38/05, Agroexpansion v Commission and C-508/11 P, Eni v Commission, პუნქტი 48.

[62] იხ. მათ შორის, საქმე C-595/18 P, The Goldman Sachs Group v Commission, ECLI: EU: C: 2021: 73, პუნქტი 32, ახდენს ციტირებას საქმისა C 611/18 P, Pirelli & C. v Commission, არ არის გამოქვეყნებული, პუნქტი 68, და ციტირებული პრეცედენტული სამართალი.

მიხედვით და შეუძლებელია მათი ამომწურავი ჩამონათვალის სახით ჩამოყალიბება.

126. მეორე მხრივ, თუ მშობელი კომპანია არ ფლობს (თითქმის მთლიან) კაპიტალს, საზედამხედველო ორგანომ უნდა წარმოადგინოს დამატებითი ფაქტები, რომელიც დაასაბუთებს ერთიანი ეკონომიკური ერთეულის არსებობას. ასეთ შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანომ უნდა დაადასტუროს, რომ მშობელ კომპანიას არა მხოლოდ შვილობილ კომპანიაზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს, არამედ, მან რეალურად განახორციელა გადამწყვეტი გავლენა და შესაბამისად, მას შეუძლია ნებისმიერ დროს ჩაერიოს შვილობილი კომპანიის არჩევანის თავისუფლებაში და განსაზღვროს მისი ქცევა. დირექტივის ხასიათი და ტიპი არ წარმოადგენს რელევანტურ საკითხს მშობელი კომპანიის გავლენის განსაზღვრისას.

127. ჯარიმის დაწესება[63] ხდება დამუშავებისთვის (ერთობლივად) პასუხისმგებელ/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებზე, ხოლო შესაბამის საზედამხედველო ორგანოს აქვს შესაძლებლობა, მშობელ კომპანიას დააკისროს სოლიდარული პასუხისმგებლობა[64] ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებით.

6.2.2 საწარმოს ბრუნვის განსაზღვრა

128. ბრუნვა განისაზღვრება საწარმოს წლიური ბუღალტრული ანგარიშების საფუძველზე, რომელთა მომზადება ხდება საბიუჯეტო (საფინანსო) წელთან მიმართებით და რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიის ან კომპანიების ჯგუფის (კონსოლიდირებული ანგარიშები) წინა ფინანსური წლის მიმოხილვას. ბრუნვა განისაზღვრება, როგორც ყველა გაყიდული საქონლის ან მომსახურების ჯამი. წმინდა ბრუნვა აღნიშნავს გაყიდული პროდუქტების და მომსახურების ჯამს, რომელსაც გამოკლებული აქვს გაყიდვის შემდგომ მომხმარებლისთვის დაბრუნებული თანხები (sales rebates), დღგ და ბრუნვასთან პირდაპირ დაკავშირებული სხვა გადასახადები.[65]

---

[63] ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ადრესატს წარმოადგენს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი (ან პირები), როგორც სამართალდამრღვევი და სწორედ მას გადაეცემა აღნიშნული გადაწყვეტილება. ამას გარდა, გადაწყვეტილება შესაძლებელია გადაეცეს ერთიანი ეკონომიკური ერთეულის შემადგენელ სხვა იურიდიულ დაწესებულებებს, რომელთაც ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ჯარიმასთან დაკავშირებით.

[64] EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პუნქტი 290.

[65] იხ., მაგალითად, ევროპარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა 2013/34/EU გარკვეული ტიპის საწარმოთა ყოველწლირი ფინანსური ანგარიშების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების და მათთან დაკავშირებული ანგარიშების შესახებ, რომლითაც შესწორდა ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2006/43/EC და ცვლილებები შევიდა საბჭოს დირექტივებში 78/660/EEC და 83/349/EEC (შემდგომში, „დირექტივა 2013/34/EU“), რომელიც

129. ბრუნვა ეფუძნება მოგება-ზარალის ანგარიშს.[66] წმინდა ბრუნვა მოიცავს პროდუქტების გაყიდვის, გაქირავების და ლიზინგიდან მიღებულ შემოსავალს და სერვისების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს, რომელსაც გამოკლებული აქვს დაქვითული თანხები (მაგ., მომხმარებლისათვის დაბრუნებული თანხები, ფასდაკლებები) და დღგ.

130. თუ საწარმო ვალდებულია, მოამზადოს კონსოლიდირებული ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები,[67] საწარმოს კომბინირებული ბრუნვის განსაზღვრისთვის რელევანტურია ჯგუფის მშობელი (სათავო) კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები.[68] ამგვარი ანგარიშების არ არსებობის შემთხვევაში, მაშინ, მოპოვებული და გამოყენებული უნდა იქნას სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით საწარმოს ბრუნვის შესახებ, შესაბამის საბიუჯეტო წელში.

131. GDPR-ის 83-ე მუხლის 4-6 პუნქტების თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნას გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რაც შეეხება ტერმინ „გასული“-ს მნიშვნელობას, GDPR-ით გათვალისწინებულ ჯარიმებთან დაკავშირებით შესაძლებელია კონკურენციის სამართლის სფეროში მოქმედი CJEU-ს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, რომლის მიხედვითაც ათვლის წერტილს წარმოადგენს საზედამხედველო ორგანოს მიერ დაჯარიმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და არა დარღვევის ჩადენის დრო ან სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დრო.[69] ტრანსსასაზღვრო დამუშავების შემთხვევაში, ჯარიმის შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებას წარმოადგენს არა გადაწყვეტილების პროექტი, არამედ, საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც გამოსცა წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ.[70] როდესაც გადაწყვეტილების პროექტის მიმართ მე-60 მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი ამოქმედდება კალენდარული წლის ბოლოს, ხოლო ნაკლებად სავარაუდოა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდება იმავე კალენდარულ წელში, წამყვანი საზედამხედველო ორგანო შემოთავაზებულ ჯარიმას გამოიანგარიშებს უახლესი ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო იმ თარიღისთვის, რა თარიღშიც გადაწყვეტილების პროექტი დაეგზავნათ შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს, თავიანთი მოსაზრებების წარმოსადგენად. საჭიროების მიხედვით, ამ ინფორმაციის განახლება მოხდება

ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებზე და საბჭოს რეგულაცია (EC) No. 139/2004 საწარმოთა შერწყმის კონტროლის შესახებ, მუხლი 5(1) (შემდგომში, „EC Merger Reglation“).

[66] იხ. დირექტივა 2013/34/EU, დანართი V ან VI, „წმინდა ბრუნვა“, ან მსგავსი მოქმედი კანონმდებლობა.

[67] იხ., მაგალითად, დირექტივა 2013/34/EU, მუხლი 21 et seq., ან მსგავსი მოქმედი კანონმდებლობა.

[68] C-58/12P Groupe Gascogne SA v European Commission, ECLI:EU:C:2013:770, პუნქტი 54-55.

[69] საქმე Regional Court LG Bonn, 29 Owi 1/20, 2020 წლის 11 ნოემბერი, პ. 95, მიუთითებს საქმეზე C-637/13 P, Badezimmerkartell Laufen Austria, პ.49 და საქმე C-408/12P, YKK et al, პ.90.

[70] EDPB-ის სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება 1/2021, პ.298.

წამყვანი საზედამხედველო ორგანოს მიერ საბოლოო ეროვნული გადაწყვეტილებისთვის საბოლოო სახის მიცემამდე და მიღებამდე.

თავი 7 - ეფექტურობა, პროპორციულობა და შემაკავებელი ძალა

132. აუცილებელია, რომ GDPR-ის დარღვევის შემთხვევებში დაწესებული ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელზეც მიუთითებს 83-ე მუხლის 4-6 პუნქტები, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაწესებული ჯარიმის ოდენობა მორგებული უნდა იყოს მოცემულ კონტექსტში ჩადენილ დარღვევაზე. EDPB მიიჩნევს, რომ საზედამხედველო ორგანოებმა უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ჯარიმის ოდენობა აღნიშნულ მოთხოვნებს, ან ხომ არ არის საჭირო ჯარიმის ოდენობის შემდგომი დაკორექტირება.

133. როგორც მე-4 თავში განიმარტა, აღნიშნულ თავში აღწერილი შეფასება მოიცავს მთლიანობაში დაკისრებულ ჯარიმას და საქმის ყველა გარემოებას, მათ შორის, მაგ., რამდენიმე დარღვევის „დაგროვებას“, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების მიხედვით ჯარიმის გაზრდას ან შემცირებას და ფინანსურ/სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებს. ამავდროულად, საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი და იგივე გარემოება ორჯერ არ ჩაითვალოს.

134. თუ გარემოებები მოითხოვს ჯარიმის გაზრდას, გაზრდილი ჯარიმა არ უნდა აჭარბებდეს კანონით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც მე-6 თავშია იდენტიფიცირებული (იხ. ზემოთ).

7.1 ეფექტურობა

135. ზოგადად რომ ვთქვათ, ჯარიმა ეფექტურად ჩაითვლება, თუ იგი უზრუნველყოფს იმ მიზნების მიღწევას, რისთვისაც მოხდა მისი დაკისრება. მიზანი შესაძლოა, ითვალისწინებდეს წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, სამართალდამრღვევის დასჯას ან ორივეს ერთად.[71] ამას გარდა, GDPR-ის პრეამბულის 148-ე პუნქტი ხაზს უსვამს, რომ ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრება უნდა მოხდეს „წინამდებარე რეგულაციის წესების აღსრულების განსამტკიცებლად“. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე დაწესებული ჯარიმა, შესაბამისად, საკმარისი უნდა იყოს ამ ამოცანების შესრულებისთვის.

[71] სახელმძღვანელო პრინციპები WP253, გვ.6.

136. GDPR-ის 83(2) მუხლის თანახმად, საზედამხედველო ორგანო ვალდებულია, შეაფასოს ჯარიმის ეფექტურობა, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში. ამ მიზნით, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული საქმის გარემოებები, განსაკუთრებით, ზემოთ წარმოდგენილი შეფასება,[72] ხოლო ჯარიმა უნდა იყოს პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე, როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული.

7.2 პროპორციულობა

137. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, მიღებული ზომები არ უნდა აჭარბებდეს იმას, რაც მიზანშეწონილი და აუცილებელია მოცემული კანონმდებლობის მიერ ლეგიტიმურად დასახული მიზნების მიღწევისთვის; თუ ხელმისაწვდომია რამდენიმე შესაფერისი ზომა, გამოყენებული უნდა იქნას ყველაზე ნაკლებად მკაცრი ზომა, ხოლო გამოწვეული უარყოფითი მხარეები არ უნდა იყოს დასახული მიზნის არაპროპორციული[73].

138. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ჯარიმები არ უნდა იყოს დასახული მიზნის არაპროპორციული (ე.ი., პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების დაცვის წესებთან და პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ წესებთან შესაბამისობა), ხოლო დაწესებული ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს დარღვევის პროპორციული, განხილული მთლიანობაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.[74]

139. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ ჯარიმის ოდენობა **პროპორციულია** როგორც დარღვევის სიმძიმის მიმართ, ისე იმ საწარმოს ზომის მიმართ, რომელსაც მიეკუთვნება დაწესებულება, რომელმაც ჩაიდინა დარღვევა,[75] ხოლო დაწესებული ჯარიმა არ უნდა აჭარბებდეს იმას, რაც აუცილებელია GDPR-ით დასახული მიზნების მისაღწევად.

---

[72] GDPR-ის პრეამბულის 148-ე პუნქტი, აგრეთვე, უთითებს: „მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დარღვევის სახე, სიმძიმე და ხანგძლივობა, იყო თუ არა დარღვევა ჩადენილი განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ასევე გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის ზიანის შესამსუბუქებლად მიღებული ზომები, პასუხისმგებლობის ხარისხი და წარსულში ჩადენილი მსგავსი დარღვევები, ფორმა რომლითაც საზედამხედველო ორგანოსთვის ცნობილი გახდა დარღვევის შესახებ, მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიმართ გამოყენებული ზომების შესრულება, ქცევის კოდექსის შესრულება და ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება.“

[73] საქმე T-704/14, Marine Harvest v Commission, პ.580, შეიცავს მითითებას საქმეზე T-332/09, Electrabel v Commission, პ.279.

[74] იქვე.

[75] ამ თვალსაზრისით, იხ. case C-387/97, Commission v Greece, paragraph 90, and case C-278/01, Commission v Spain, პუნქტი 41, რომლის თანახმადაც ჯარიმა უნდა იყოს „გარემოებების შესაბამისი

140. პროპორციულობის პრინციპიდან მომდინარეობს, რომ საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია - ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად - გადახდისუუნარობის გათვალისწინებით შეამციროს ჯარიმის ოდენობა. ამგვარი შემცირება მოითხოვს საგამონაკლისო გარემოებების არსებობას. ჯარიმების განსაზღვრის მეთოდის შესახებ ევროკომისიის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით[76], უნდა არსებობდეს ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯარიმის დაკისრება შეუქცევად საფრთხეს შეუქმნის შესაბამისი საწარმოს ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას. ამას გარდა, რისკები უნდა გაანალიზდეს სპეციფიური სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

a) ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა: საწარმომ უნდა წარმოადგინოს დეტალური ფინანსური მონაცემები (რომელიც ასახავს ბოლო ხუთ წელს და შეიცავს მიმდინარე და მომდევნო ორი წლის პროგნოზს), რათა საზედამხედველო ორგანომ განიხილოს ისეთ ძირითად ფაქტორებთან დაკავშირებული სავარაუდო სამომავლო განვითარებები, როგორიცაა: გადახდისუუნარობა, ლიკვიდურობა და შემოსავლიანობა. ევროპული სასამართლოების თანახმად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ საწარმო ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება ან დიდი ჯარიმის დაკისრების შემდეგ აღმოჩნდება ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობაში, არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, „ვინაიდან ამგვარი ვალდებულების დაწესება უსამართლო კონკურენტულ უპირატესობას მისცემს საწარმოებს, რომლებიც ნაკლებად არიან ადაპტირებულები ბაზარზე არსებულ პირობებთან.“[77] საწარმოს შესაძლებლობა, გადაიხადოს ჯარიმა, აგრეთვე, მოიცავს შესაძლო რესტრუქტურიზაციის გეგმებისა და მათი განხორციელების, გარე ფინანსურ პარტნიორებთან/დაწესებულებებთან (მაგ., ბანკები) და აქციონერებთან ურთიერთობის გათვალისწინებას[78].

b) **გაუფასურების რისკი:** ჯარიმის შემცირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა საფრთხეს შეუქმნის საწარმოს ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას და გამოიწვევს მისი აქტივების მთლიანად ან

და დადგენილი დარღვევისა და წევრი სახელმწიფოს მიერ ჯარიმის გადახდის შესაძლებლობის პროპორციული.“

[76] აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებით, იხ., მაგალითად, კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები No. 1/2003 (2006/C210/02) რეგულაციის 23(2)(a) მუხლის თანახმად დაწესებული ჯარიმის განსაზღვრის შესახებ.

[77] იხ. გაერთიანებული საქმეები C-189/02P, C-202/02P, C-205/02P to C-208/02P და C-213/02P, Dansk Rørindustri and Othersv Commission, პ. 327, შეიცავს მითითებას გაერთიანებულ საქმეებზე: 96/82 to 102/82, 104/82, 105/82, 108/82 და 110/82, NV IAZ International Belgium and others v Commission, პუნქტები 54 და 55. აღნიშნული, აგრეთვე, განმეორდა საქმეში C- 308/04P, SGL Carbon v Commission, პ. 105, და საქმე T-429/10 (გაერთიანებული საქმეები T-426/10, T-427/10, T-428/10, T- 429/10, T-438/12, T-439/12, T-440/12, T-441/12), Global Steel Wire v Commission, პუნქტები 492-493.

[78] იხ. საქმე T-429/10 (გაერთიანებული საქმეები T-426/10, T-427/10, T-428/10, T-429/10, T-438/12, T-439/12, T-440/12, T-441/12), Global Steel Wire v Commission, პუნქტები 521-527.

უმეტესად გაუფასურებას.[79] უნდა დადასტურდეს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ჯარიმასა და აქტივების მნიშვნელოვნად გაუფასურებას შორის. ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს, რომ გაკოტრება და გადახდისუუნარობა გამოიწვევს აქტივების მნიშვნელოვნად გაუფასურებას. ამას გარდა, თუ საწარმო თავად გადაწყვეტს საკუთარი აქტივობების შეწყვეტას და ყველა აქტივის გაყიდვას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ჯარიმამ საფრთხე შეუქმნა მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას. საწარმომ უნდა დაადასტუროს, რომ იგი სავარაუდოდ გავა ბაზრიდან და მისი აქტივები დაიშლება ან გაიყიდება მნიშვნელოვნად ფასდაკლებულ ფასად, ხოლო საწარმოს (ან მის აქტივებს) არ ექნება ალტერნატიული შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა. ეს ნიშნავს, რომ საზედამხედველო ორგანომ საწარმოს უნდა მოსთხოვოს დადასტურება, რომ არ არსებობს მკაფიო ნიშნები, რომ საწარმოს (ან მის აქტივებს) შეიძენს სხვა საწარმო/მფლობელი და იგი გააგრძელებს საქმიანობას.

c) **სპეციფიკური სოციალური და ეკონომიკური კონტექსტი:** სპეციფიური ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინება შესაძლებელია, თუ შესაბამის სექტორში ციკლური კრიზისი მიმდინარეობს (მაგ., ბაზრის გაჯერება ან ფასების დაცემა) ან თუ კომპანიები სირთულეებს აწყდებიან კაპიტალზე ან კრედიტზე წვდომის კუთხით, არსებული ეკონომიკური პირობების შედეგად. სპეციფიკური სოციალური კონტექსტი გულისხმობს, მაგალითად, მაღალ და/ან მზარდ უმუშევრობას რეგიონულ დონეზე ან შედარებით ფართო დონეზე. აგრეთვე, შესაძლებელია შეფასდეს, თუ რა გავლენა ექნება ჯარიმის გადახდას უმუშევრობაზე და რამდენად დააზიანებს მიწოდების ჯაჭვში ან წარმოების პროცესში დაჯარიმებულ საწარმომდე ან მის შემდგომ არსებულ კომპანიებს[80].

141. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს საწარმოს მიერ ჯარიმის გადახდის უუნარობა და შესაბამისად შეამციროს ჯარიმა.

7.3 შემაკავებელი ძალა

142. და ბოლოს, ჯარიმის შემაკავებელი ძალა გულისხმობს რეალურ შემაკავებელ (შემაჩერებელ) ეფექტს.[81] ამ მხრივ, შესაძლებელია ერთმანეთისაგან განირჩეს ზოგადი (მომავალში იგივე დარღვევის სხვების მიერ ჩადენის თავიდან აცილება)

[79] იხ. გაერთიანებული საქმეები: T-236/01, T-239/01, T-244/01 - T-246/01, T-251/01 და T-252/01, Tokai Carbon and Others v Commission, პ. 372 და საქმე T-64/02, Heubach v Commission, პ. 163. იხ., საქმე T-393/10 INTP, Westfälische Drahtindustrie and Others v Commission, პ. 293 და 294.

[80] იხ. საქმე C-308/04P,SGL Carbon v Commission, პ. 106.

[81] იხ. AG Geelhoed-ის დასკვნა საქმეში C-304/02, Commission v France, პ. 39.

და სპეციფიური (ჯარიმის ადრესატის მიერ იგივე დარღვევის ხელმეორედ ჩადენის თავიდან აცილება) შემაკავებელი ეფექტები.[82] ჯარიმის დაწესებისას, საზედამხედველო ორგანო ითვალისწინებს როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ შემაკავებელ ეფექტებს.

143. ჯარიმას აქვს შემაკავებელი ძალა, თუ იგი ახდენს პირის მიერ ევროკავშირის სამართლით დადგენილი წესების და დასახული მიზნების დარღვევის პრევენციას. ამ მხრივ, გადამწყვეტია არა მხოლოდ ჯარიმის სახეობა და დონე, არამედ, ჯარიმის დაკისრების ალბათობა. ნებისმიერ პირს, რომელიც ჩაიდენს დარღვევას, უნდა ჰქონდეს შიში, რომ მის რეალურად იქნება ჯარიმა გამოყენებული. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ შემაკავებელი ძალისა და ეფექტურობის პრინციპები ურთიერთდაკავშირებული პრინციპებია.[83]

144. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ჯარიმა გაზარდოს, თუ იგი არ თვლის, რომ ჯარიმის ოდენობას საკმარისი შემაკავებელი ძალა აქვს. ზოგ ვითარებაში, შესაძლებელია, გამართლებული იყოს შემაკავებელი ძალის მულტიპლიკატორის (deterrence multiplier) გამოყენება.[84] აღნიშნულ მულტიპლიკატორს საზედამხედველო ორგანო ადგენს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, იმ ზემოთ წარმოდგენილი მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც ემსახურება ჯარიმის შემაკავებელი ძალა.

თავი 8 - მოქნილობა და რეგულარული შეფასება

145. ზემოთ წარმოდგენილი თავები აღწერს ჯარიმების გამოანგარიშების ზოგად მეთოდს და ხელს უწყობს საზედამხედველო ორგანოთა დაჯარიმების პრაქტიკის ჰარმონიზებას და გამჭვირვალობას. ამავდროულად, ზოგადი მეთოდი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ავტომატური ან არითმეტიკული გამოანგარიშების ფორმა. ინდივიდუალური ჯარიმა ყოველთვის უნდა განისაზღვროს საქმის შესაბამისი გარემოებების ადამიანის მიერ შეფასების საფუძველზე და უნდა იყოს კონკრეტულ საქმესთან მიმართებით ეფექტური, პროპორციული და ჰქონდეს შემაკავებელი ძალა.

146. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ვერ გაითვალისწინებს საქმის ყველა შესაძლო თავისებურებას და ამ მხრივ, ვერ უზრუნველყოფს ამომწურავ ინსტრუქციებს საზედამხედველო ორგანოებისთვის. სახელმძღვანელო პრინციპები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას, რათა

[82] იხ., inter alia, საქმე C-511/11P, Versalis Spa v Commission, პ. 94.

[83] AG Kokott-ის დასკვნა გაერთიანებულ საქმეებში C-387/02, C-391/02 და C-403/02, Silvio Berlusconi and Others, პ. 89.

[84] კერძოდ, იხ. საქმე C-289/04P, Showa Denko v Commission, პ. 28-39.

შეფასდეს, მათი გამოყენება ეფექტურად უზრუნველყოფს თუ არა GDPR-ით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას. EDPB უფლებამოსილია, ყოველდღიურ, პრაქტიკულ გამოყენებაში საზედამხედველო ორგანოთა გამოცდილებებზე დაყრდნობით შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე დოკუმენტში და ნებისმიერ დროს გააუქმოს, შეცვალოს, შეზღუდოს, შეასწოროს ან ჩაანაცვლოს სახელმძღვანელო პრინციპები, რაც გავლენას იქონიებს სამომავლოდ მათ გამოყენებაზე.

დანართი - ცხრილი GDPR-ის საფუძველზე ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების შესახებ 04/2022 სახელმძღვანელო პრინციპების საილუსტრაციო ცხრილი

შენიშვნა:

- წინამდებარე ცხრილი წაკითხული უნდა იქნას სახელმძღვანელო პრინციპებთან ერთობლიობაში და იგი არ წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპების სრულ რეზიუმეს, ან სახელმძღვანელო პრინციპების ალტერნატივას;

- წინამდებარე ცხრილი შექმნილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის და იგი არ ასახავს EDPB-ის სრულ ან საბოლოო პოზიციას ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების შესახებ;

- ცხრილი ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში წარმოდგენილია ჯარიმის საწყისი ოდენობების დიაპაზონი, დარღვევის სიმძიმის მიხედვით, ხოლო მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ჯარიმის საწყისი ოდენობების დიაპაზონი მას შემდეგ, რაც პირველ ნაწილში დადგენილი ოდენობა დაკორექტირდება კომპანიის ზომის გათვალისწინებით;

- ერთი მხრივ, საწყისი ოდენობები შეესაბამება კომისიის რეკომენდაციას მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ - კერძოდ, GDPR-ის 83-ე მუხლში განსაზღვრული ბრუნვები შეესაბამება რეკომენდაციაში მითითებულ ბრუნვებს.[85] მეორე მხრივ, საწყისი ოდენობების განსაზღვრა დარღვევის სიმძიმის მიხედვით ეფუძნება დაჯარიმების არსებულ პრაქტიკას და წლების მანძილზე, დაჯარიმების მოდელების ფართომასშტაბიან შიდა ტესტირებას/შემოწმებას. EDPB დარწმუნებულია, რომ საწყისი ოდენობები შეესაბამება ჯარიმის ეფექტურობის, პროპორციულობისა და შემაკავებელი ძალის მოთხოვნებს, რომლებსაც ადგენს GDPR-ის 83(1) მუხლი;

- ამავდროულად, როგორც ყოველთვის, EDPB ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციული ჯარიმის გამოთვლა არ არის მხოლოდ მათემატიკური სავარჯიშო, ხოლო რეალური შემთხვევები და პრაქტიკა გარდაუვალად შეუწყობს ხელს წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილი საწყისი ოდენობების სრულყოფას. შესაბამისად, სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებულია, რომ ცხრილი და მასში წარმოდგენილი ციფრები მუდმივად და დეტალურად გადაიხედება EDPB-ის მიერ და საჭიროების შემთხვევაში, მოხდება მათი ადაპტაცია;

[85] კომისიის 2003 წლის 6 მაისის რეკომენდაცია მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა განსაზღვრის შესახებ (შეტყობინებულია C(2003) 1422 დოკუმენტის საფუძველზე), (2203/361/EC).

- ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს ციფრები წარმოადგენს შემდგომი გამოანგარიშების საწყის წერტილს და არა ფიქსირებულ ოდენობას. საზედამხედველო ორგანოს გააჩნია დისკრეცია, გამოიყენოს ჯარიმების სრული დიაპაზონი, ნებისმიერი ოდენობიდან კანონით დადგენილ ზედა ზღვრამდე და მისი ჩათვლით;

- ცხრილის პირველ ნაწილში, რაც უფრო მძიმეა დარღვევა თავის კატეგორიაში, მით უფრო მაღალია ჯარიმის საწყისი ოდენობა;

- მეორე ნაწილში, საბოლოო საწყისი ოდენობა განისაზღვრება გარკვეული პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით და საწარმოს ზომის გათვალისწინებით თანხის დაკორექტირება ხდება 1-ელ ნაწილში იდენტიფიცირებული საწყისი ოდენობის გარკვეულ პროცენტულ მაჩვენებლამდე. ეს ნიშნავს იმას, რომ მე-2 ნაწილში არჩეული პროცენტული მაჩვენებელი გამოყენებული უნდა იქნას, როგორც 1-ელ ნაწილში განსაზღვრული საწყისი ოდენობის მამრავლი. რაც უფრო მაღალია საწარმოს ბრუნვა შესაბამის კატეგორიაში, მით უფრო მაღალი იქნება მე-2 ნაწილში განსაზღვრული საწყისი ოდენობა;

- მეორე ნაწილი შეიცავს კონკრეტულ კატეგორიაში გამოყენებად ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ ოდენობებს. საბოლოო საწყისი ოდენობა მოხვდება ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ ოდენობებს შორის არსებულ დიაპაზონში. მე-2 ნაწილში მოცემული დიაპაზონის საფუძველზე, საქმის განმხილველს შეუძლია გადაამოწმოს ჯარიმის მართებულობა;

- გაითვალისწინეთ, რომ მე-2 ნაწილი არ მოიცავს რაიმე შესწორებებს ისეთი საწარმოების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვაც ტოლია ან მეტია 500 მილიონი ევროსი, ვინაიდან ეს საწარმოები აჭარბებენ კანონით დადგენილ ფიქსირებულ მაქსიმალურ ზღვარს და ამრიგად, საწარმოს ზომა უკვე ისედაც ასახულია კანონით დადგენილ დინამიკურ მაქსიმალურ ოდენობაში, რომელიც გამოიყენება შემდგომი გამოანგარიშების საწყისი ოდენობის დადგენისთვის, 1-ელ ნაწილში;

- ამ მეთოდოლოგიის (მათ შორის, ცხრილების) გამოყენების ორი მაგალითი წარმოდგენილია დანართის დასასრულს.

ნაწილი 1: საწყისი ოდენობის გამოანგარიშება სიმძიმის მიხედვით

შენიშვნა: რაც უფრო მძიმეა დარღვევა, თავის შესაბამის კატეგორიაში, მით მაღალი იქნება პირველი ნაწილის ფარგლებში განსაზღვრული საწყისი ოდენობა.

	მსუბუქი დარღვევა		**საშუალო სიმძიმის დარღვევა**		**მძიმე დარღვევა**	
	ფიქსირებული დიაპაზონი	დინამიკური დიაპაზონი, თუ ბრუნვა > 500 მლნ	ფიქსირებული დიაპაზონი	დინამიკური დიაპაზონი, თუ ბრუნვა > 500 მ	ფიქსირებული დიაპაზონი	დინამიკური დიაპაზონი, თუ ბრუნვა > 500 მ
GDPR 83(4) მუხლი	0-1 მლნ	წლიური ბრუნვის 0 – 0.2%	1 მლნ -2 მლნ	წლიური ბრუნვის 0.2 – 0.4%	2 მლნ -10 მლნ	წლიური ბრუნვის 0.4 – 2%
GDPR 83(5)(6) მუხლი	0-2 მლნ	წლიური ბრუნვის 0 – 0.4%	2 მლნ -4 მლნ	წლიური ბრუნვის 0.4 – 0.8%	4 მლნ -5 მლნ	წლიური ბრუნვის 0.8 – 4%

ნაწილი 2: საწყისი ოდენობის დაკორექტირება საწარმოს ზომის მიხედვით (ეხება მხოლოდ იმ საწარმოებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება ფიქსირებული დიაპაზონი)

შენიშვნა: რაც უფრო მაღალია საწარმოს ბრუნვა, შესაბამის კატეგორიაში, მით მაღალი იქნება მეორე ნაწილის ფარგლებში განსაზღვრული საწყისი ოდენობა.

GDPR-ის 83(4) მუხლი

	მსუბუქი დარღვევა	**საშუალო სიმძიმის დარღვევა**	**მძიმე დარღვევა**
250 მილიონი ევროდან 500 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 40-100%		
	0 – 1 მლნ	400,000 – 2 მლნ	800,000 – 10 მლნ
	მსუბუქი დარღვევა	**საშუალო სიმძიმის დარღვევა**	**მძიმე დარღვევა**
100 მილიონი ევროდან 250 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 15-50%		
	0 – 500,000	150,000 – 1 მლნ	300,000 – 5 მლნ
50 მილიონი ევროდან 100 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 8-20%		
	0 – 200,000	800,000 – 400,000	160,000 – 2 მლნ
10 მილიონი ევროდან 50 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 1.5 - 10%		
	0 – 100,000	15,000 – 200,000	30,000 – 1 მლნ

2 მილიონი ევროდან 10 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 0.3 – 2%		
	0 – 20,000	3,000 – 40,000	6,000 – 200,000
2 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 0.2 – 0.4%		
	0 – 4,000	2,000 – 8,000	4,000 – 40,000

GDPR-ის 83(5)(6) მუხლი

	მსუბუქი დარღვევა	**საშუალო სიმძიმის დარღვევა**	**მძიმე დარღვევა**
250 მილიონი ევროდან 500 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 40-100%		
	0 – 2 მლნ	800,000 – 4 მლნ	1,6 მლნ – 20 მლნ
	მსუბუქი დარღვევა	**საშუალო სიმძიმის დარღვევა**	**მძიმე დარღვევა**
100 მილიონი ევროდან 250 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 15-50%		
	0 – 1 მლნ	300,000 – 2 მლნ	600,000 – 10 მლნ
50 მილიონი ევროდან 100 მილიონ ევრომდე	საწყისი ოდენობის 8-20%		
	0 – 400,000	160,000 – 800,000	320,000 – 4 მლნ

ბრუნვის მქონე საწარმოები			
10 მილიონი ევროდან 50 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 1.5 - 10%		
	0 – 200,000	30,000 – 400,000	60,000 – 2 მლნ
2 მილიონი ევროდან 10 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 0.3 – 2%		
	0 – 40,000	6,000 – 80,000	12,000 – 400,000
2 მილიონ ევრომდე ბრუნვის მქონე საწარმოები	საწყისი ოდენობის 0.2 – 0.4%		
	0 – 8,000	4,000 – 16,000	8,000 – 80,000

სახელმძღვანელო პრინციპების მე-4 თავის (მათ შორის, ცხრილების) პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები

მაგალითი A

აღმოჩნდა, რომ სოციალური მედიის კომპანიამ, რომლის ბრუნვაც შეადგენს 200 მილიონ ევროს, მომხმარებელთა სენსიტიური მონაცემები მიჰყიდა რამდენიმე მონაცემთა ბროკერს. ამ მაგალითის მიზნებისთვის, კომპანიამ დაარღვია GDPR-ის მე-9 მუხლი. საზედამხედველო ორგანომ გააანალიზა საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რეგულაციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის „a“, „b“ და „g“ ქვეპუნქტების საფუძველზე, და დაადგინა, რომ დარღვევა წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დარღვევას.

ამის შემდგომ, საზედამხედველო ორგანომ უნდა განსაზღვროს ჯარიმის საწყისი ოდენობა, შემდგომი გამოთვლისთვის. GDPR-ის მე-9 მუხლის დარღვევას ითვალისწინებს 83(5)(a) მუხლში წარმოდგენილი ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც კანონით დადგენილ მაქსიმალური ზღვრული ოდენობაა 20

მილიონი ევრო ან წლიური ბრუნვის 4%. საწარმოს ბრუნვა 500 მილიონ ევროზე ნაკლებია, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში, მოქმედებს ფიქსირებული მაქსიმალური ზღვრული ოდენობა და დიაპაზონი. შესაბამისად, საწყისი ოდენობა უნდა განისაზღვროს კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის 20-100%-ის ფარგლებში (ე.ი., 4-20 მილიონი ევროს ფარგლებში). რაც უფრო მძიმეა დარღვევა, თავის კატეგორიაში, მით მაღალია ჯარიმის საწყისი ოდენობა. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ საწყისი ოდენობა განესაზღვრა დარღვევის სიმძიმის შესაბამისად - 10 მილიონი ევრო (როგორც ცხრილის 1-ელ ნაწილშია მითითებული).

მე-2 ნაწილის ფარგლებში, დადგენილი საწყისი ოდენობა დაკორექტირდა საწარმოს ზომის მიხედვით. საწარმოს წლიური ბრუნვაა 200 მილიონი ევრო. შესაბამისად, იგი ხვდება იმ საწარმოების კატეგორიაში, რომელთა წლიური ბრუნვა 100 -დან 250 მილიონ ევრომდეა. ეს ნიშნავს იმას, რომ საწყისი ოდენობა შემცირდება საწყისი ოდენობის 15-50%-მდე. რაც უფრო მეტია საწარმოს ბრუნვა, შესაბამის კატეგორიაში, მით მაღალია ჯარიმის საწყისი ოდენობა. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ გადაწყვიტა, რომ ჯარიმის საწყისი ოდენობა შეემცირებინა 1-ელი ნაბიჯის ფარგლებში განსაზღვრული საწყისი ოდენობის 40%-მდე, საწარმოს ზომის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, დაკორექტირების შემდეგ საწყისი ოდენობა გახდა 4 მილიონი ევრო.

ჯარიმის საწყისი ოდენობის სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია მიღებული თანხა შევადაროთ ცხრილში წარმოდგენილ შესაბამის დიაპაზონს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება GDPR-ის 83(5) მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, საწარმოს ბრუნვა არის 100-დან 250 მილიონ ევრომდე, ხოლო დარღვევა არის მძიმე კატეგორიის. შესაბამისად, ჯარიმის საწყისი ოდენობა უნდა იყოს 600,000 ევროდან 10 მილიონ ევრომდე. საზედამხედველო ორგანო ასკვნის, რომ საწყისი ოდენობა - 4 მილიონი ევრო ხვდება 600,000 ევროდან 10 მილიონ ევრომდე დიაპაზონში. ამრიგად, ჯარიმის საწყისი ოდენობა სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობაშია.

ამის შემდეგ, საზედამხედველო ორგანო აგრძელებს ჯარიმის გამოანგარიშებას დანარჩენი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

მაგალითი B

სასტუმროების ქსელმა, რომლის ბრუნვაც შეადგენს 2 მილიარდ ევროს, დაარღვია GDPR-ის მე-12 მუხლი. საზედამხედველო ორგანომ გააანალიზა საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რეგულაციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის „a“,

„b“ და „g“ ქვეპუნქტების საფუძველზე, და დაადგინა, რომ დარღვევა წარმოადგენს საშუალო სიმძიმის დარღვევას.

ამის შემდგომ, საზედამხედველო ორგანომ უნდა განსაზღვროს ჯარიმის საწყისი ოდენობა, შემდგომი გამოთვლისთვის. GDPR-ის მე-12 მუხლის დარღვევას ითვალისწინებს 83(5)(b) მუხლში წარმოდგენილი ჩამონათვალი. საწარმოს ბრუნვა 2 მილიარდი ევროა, რაც აღემატება 500 მილიონ ევროს და შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მოქმედებს დინამიკური მაქსიმალური ზღვრული ოდენობა. ეს ნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობა არის საწარმოს წლიური ბრუნვის 4%, ე.ი., 80 მილიონი ევრო. დარღვევა საშუალო სიმძიმისაა. შესაბამისად, საწყის ოდენობად განხილული უნდა იქნას კანონით დადგენილი შესაბამისი ზღვრული მაქსიმალური ოდენობის 10-20%, ე.ი., წლიური ბრუნვის 0.4% - 0.8%, რაც ჯარიმის საწყის ოდენობას 8-დან 16 მილიონ ევრომდე დიაპაზონში ახვედრებს.

რაც უფრო მძიმეა დარღვევა, თავის კატეგორიაში, მით მაღალია ჯარიმის საწყისი ოდენობა. ამრიგად, საზედამხედველო ორგანომ საწყისი ოდენობა განსაზღვრა დარღვევის სიმძიმის შესაბამისად - 12 მილიონი ევრო, ე.ი., კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მაქსიმალური ზღვრული ოდენობის 15% და საწარმოს წლიური ბრუნვის 0.6%.

ვინაიდან საწარმოს წლიური ბრუნვა 500 მილიონ ევროს აღემატება და მოქმედებს კანონით დადგენილი დინამიკური მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, საწარმოს ზომა უკვე არის ასახული დინამიკურ მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობაში, რომელიც საწყისი ოდენობის დასადგენად იქნა გამოყენებული. შესაბამისად, საწყისი თანხა არ დაკორექტირდა.

აღნიშნულის შემდეგ, საზედამხედველო ორგანომ ჯარიმის შემდგომი გამოთვლა გააგრძელა დანარჩენი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით.